

# საქართველო

IX წ. საყოველთაო კვირავი ბაზეთი. IX წ.

№ 34. კვირა, 19 აგვისტო 1901 წელსა. № 34.


გაზეთის ფასი: ერთი წლით თფილისში 7 მან., ნახევარი წლით 3 მ. 50 კ.; თფილისის გარეთ ერთი წლით 8 მან., ნახევარი წლით 4 მან., სამი თვით 2 მან., თითო ნომერი - სამი შუერი.  
სკლის მოწერა მიიღება: თფილისში - «წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების» კანცელარიაში და «კვალის» რედაქციაში, თბილისის ქ., № 12.  
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакция „КВЛ. III“.

შინაარსი: საუბარი სხვა-და-სხვა საგნებზე, მოსაუბრისა. - სხვა-და-სხვა ამბები. - კორესპონდენციები. - რუსეთის ცხოვრება. - საზღვარგარეთ. - წითელი ვასილი, მოთხ. მ. გორკისა. თარგ. ს. როსაქიძის მიერ. - რათ შინდა! ლექსი დ. ხუნდაძისა - რუსული პოეზიის უძავერესი მომენტები, ი. გომართელისა. - სამშობლოს ცაზე, რიგოლეტოსი. - შრომის მდგომარეობა ინგლისში, N-ის ა. - ბ. ზდანოვიჩის მოხსენება, ვ. წერეთლისა. - წერილი რედ. მიმართ. - განცხადებანი.

## საუბარი სხვა-და-სხვა საგნებზე.

V.

სწორეთ დიდი სურვილი მქონდა ბ-ნ ჯორჯაძის მოსახრებანი ისტორიულ მატერიალიზმზე დამერღვია და იმათი სრული უსაფუძვლობა და უაზრობა მეჩვენებია, მაგრამ ჩემი სურვილი მხოლოდ სურვილათ რჩება ჯერჯერობით. მაგრამ ზოგიერთ რამეებზე ცხლავე შეგვიძლია ვისაუბროთ ბ. ჯორჯაძესთან და ესეც ჩვენთვის დღეს სრულიად საკმარისია. ყოველსავე ამას ბ. ჯორჯაძეს უნდა ვუძაღლოდეთ. რაქს არ ვაკრა-გამოკრა კბილი ამ ვაყბატონმა, რა საგნებს არ შევპოტინა: სოციოლოგიაში და პოლიტიკურ ეკონომიაში, ვვანებ, აღარ დარჩენილა ისეთი საკითხები, რომლებსაც ბ-ნი ჯორჯაძე არ შეხებოდეს და თავისებურათ არ გადაწყვიტოს. ახლა არ იკითხავთ, როგორ იქცევა ბ. ჯორჯაძე ამ ფრიად საძნელო და მეტათრთულ კითხვების გამორკვევაში? ხამწუხაროთ, ამის შესახებ კარგს ვერაფერს ვერ ვიტყვი. ბ-ნ ჯორჯაძეს, როგორც მწერალს, აქვს ორი დიდი ნაკლებევა. პირვე-



მაიხელ კვარაძის ქე სალტიკოვი (შხედრისი).

ლათ: მას სრულებით გაცნობილი არა აქვს ის საგნები, რომლებზედაც იგი წერს; მაგრამ მიუხედავთ ამისა ყველა საგანზე იგი ვაბედულათ მსჯელობს, ე. ი. ყოველივე, რაც კი რამ პირზე მოადგება, დაულაგებლათ ქაღალდზე გადააქვს; ამიტომ ვერც ერთ მის წერილს ვერ იბოვით, რომელშიაც სისტემატიურათ ვატარებული იყოს ერთი რომელიმე დედააზრი და რომელიც ლოლიკური ნახტომებით არ იყოს სავსე. ბ. ჯორჯაძეს სრულებით არავითარი წარმოდგენა არა აქვს იმაზე, თუ რაში მდგომარეობს ლოლიკური მსჯელობა, ერთი აზრის მეორე აზრთან ლოლიკურათ დაკავშირება. მას მართალია, უყვარს მეცნიერების სხვა-და-სხვა დარგთა ხსენება და იქიდან სხვა-და-სხვა ცნობების ამოგლეჯა, მაგრამ მას სრულებით არ გაეგება, რომ თანამედროვე მეცნიერება ერთი განუყოფელი მთელია, და ამიტომ იქიდან ამოღებულ ცნობებს მხოლოდ მაშინ აქვს მნიშვნელობა, როცა ეს ცნობები, ე. ი. ნაწილები მთელთან არიან შეკავშირებულნი. ავიღოთ, მაგ., სტატისტიკური მეთოდი, რომელსაც ასე ფართო ასპარეზი აქვს დღეს დათმობილი საზო-



გადოებრივ მოვლენათა ახსნა-განმარტებაში: ბ. ჯორჯადეს სტატისტიკური მეთოდი მხოლოდ უბრალო ციფრების მოყვანა გონია, ისეთი ციფრების, რომლებიც რაც განსაზღვრულ მდგომარეობას (სტატისტიკას) ხსნიან და არც ამ მდგომარეობის ცვლილებას (დინამიკას). მეორეთ: ბ. ჯორჯადე არასოდეს არ ცდილა თავის მოწინააღმდეგეთა აზრი სისწორით გაეგო. ამიტომ უმეტეს ნაწილათ იგი ებრძვის თავისავე ფანტაზიით შექმნილ აზრს და თუ ვისმეს ამარცხებს, ისევე თავის თავს. ამა და ამ მიმართულელების მიმდევარნი ასე ფიქრობენ, — გვეტყვის ხოლმე ხშირათ ბ. ჯორჯადე. ხოლო თუ კითხეთ: სად გამოთქვას იმათ ეს აზრი, არ შეიძლება დავისახელოთ ამის წყარო? ამაზე ბ. ჯორჯადე გადაჭრით მოგიგებთ, რომ თქვენ წიგნების მოყვარული, „მწიგნობარი“ ყოფილხართ, და ამიტომ თქვენთან არა ღირს ლაპარაკი. უნდა შევნიშნოთ, რომ წიგნები, მეტადრე სქელი ტომებია, ძალიან სძულს ჩვენს ავტორს. თუ ბ. ჯორჯადეს რომელიმე შეხედულების უსაფუძვლობა სურს დაამტკიცოს, იგი აცხადებს, რომ ეს „მწიგნობართა აზრია“, და მორჩა და გათავდა: ამაზე მეტი ფაქტიური საბუთი რაიმე აზრის უსაფუძვლობისა მისთვის ყოვლად წარმოუდგენელია. რა ნახა ბ. ჯორჯადემ წიგნებში, ან რით დააშინეს წიგნებმა იგი, — ჩვენ არ ვიცით. ყოველ შემთხვევაში ეს საგულისხმოა. ასეთი შეხედულებიდან დიდი მანძილი არ არის იქამდის, რომ მან სრულებით უარპყოს წიგნების მნიშვნელობა.

აი ასეთია ბ. ჯორჯადე. ცხადია, რომ ასეთი პუბლიცისტი შორს ვერ წავა. მაგრამ ნუ დაივიწყებთ, რომ მას შორს წასვლის უზომო „სურვილი“ („სუბიექტური“, რასაკვირველია) აქვს. ამიტომ თქვენ შეგიძლიათ რამდენიმეთ წარმოიდგინოთ, თუ რით უნდა დაბლოკდეს ასეთი, „სურვილი“, ე. ი. სრული დამარცხებით. დავასახელოთ რამდენიმე მაგალითი ამ დამარცხებისა. ბ. ჯორჯადეს სადღაც (რა თქმა უნდა, არა დიდ წიგნებში!) გაუგონია, რომ ფილოსოფიური მატერიალიზმის გვერდით არსებობს ისტორიული მატერიალიზმი და მას გონება, რომ ეს უკანასკნელი «ლოგიკური დასკვნაა და პრაქტიკული განხორციელება პირველისა». ავტორი გვეუბნება: „ისტორიკოს-მატერიალისტები თავის თეორიას ფილოსოფიურ მატერიალიზმზე ამყარებენ“ („ცნ. ფურც.“ № 1517). საინტერესოა ვიცოდეთ, სად გაიგო ბ. ჯორჯადემ ეს ამბავი? მართალია იგი გვეუბნება, რომ „ჩვენ (ე. ი. ჯორჯადე) კერძოებით შევნიშნეთ და ფილოსოფოსთა ციტატების მოყვანას და აღნუსხვას სსკაჟ-სსკაჟ დად-ტანთან წიგნებისას და რომ ამ იარაღს უმეტეს შემთხვევაში ჩვენი პუბლიცისტები ხმარობენ მკითხველის დასაშინებლათ და არა საგნის გამოსარკვევათ“ (იქვე; ხაზს ყოველგან ჩვენ ვუსვებთ); მაგრამ ჩვენ ამ შემთხვევაში ნებას ვაძლევთ ჩვენ თავს ბ. ჯორჯადეს დავეკითხოთ: რომელ წიგნში (დიდ-ტანიანი იქნება ეს თუ პატარა ტანიანი, ჩვენთვის სულ ერთია) ამოიკითხა მან ეს აზრი? მაგრამ ვაი თუ ბ. ჯორჯადე იმით გაურბის „მეცნიერთა და ფილოსოფოსთა (ნაწერებიდან, ალბათ) ციტატების მოყვანას და დიდ-ტანიან წიგნების დასახელებას“, რომ იგი არ არის გაცნობილი მეცნიერთა და ფილოსოფოსთა არც დიდ-ტანიან და არც პატარა-ტანიან წიგნებთან! ეს რომ ასეა, ე. ი. ბ. ჯორჯადე არა თუ ნაკლებ

ბათ, არამედ სრულებით არ იცნობს არც „დიდ-ტანიან“ და არც პატარა-ტანიან წიგნებს, ე. ი. იმ საინტერესო გამოკვლევათ, რომლებიც ამ 30—40 წლის განმავლობაში მოახდინეს სოციოლოგიაში და განსაკუთრებით პირველყოფილ კულტურის შესწავლაში, მტკიცდება ბ. ჯორჯადისვე შემდეგი სიტყვებით: „მთელი ისტორიის შინაარსის დაკავშირება ეკონომიურ ურთიერთობასთან ჯერ კიდევ დაუმტკიცებელ პრობლემათ დარჩა სოციოლოგიურ ლიტერატურაში... ჯერ აქვს დაუმტკიცებია, რომ საღსას ეკონომიურ ურთიერთობა მიზეზია ამა თუ იმ თვისების და ზომის კულტურის განხისას. არავის დაუმტკიცებია, რომ კულტურა «ზედ-ნაშენი (პოლიტიკური მმართველობა, ზენ-ჩვეულება, რელიგია, ფილოსოფია და სხვ.) ეკონომიურ წარმოებითი ურთიერთობის განვითარების პირველი და უკანასკნელი მიზეზი ყოფილიყოს» (იქვე. წინადადების კონსტრუქცია ღმერთა შეინახოს! მ.). ეტყობა, რომ ამ სიტყვების დამწერს არა თუ არავითარი წარმოდგენა არა აქვს საფრანგეთის ისეთ ისტორიკოსებზე, როგორნიც იყვენ ოგიუსტინ ტიერი, გიზო და მინიე, არამედ იგი სრულებით ვერ იცნობს პირველყოფილი კულტურის მკვლევართ, როგორიც არიან ეიროტელონი, მაკ-ლენანი, ლიპპერტი და სხ. მაგრამ უფრო სამწუხარო ის არის, რომ ბ. ჯორჯადეს არავითარი წარმოდგენა არა აქვს არც მორგანის, არც მ. კოვალევსკის და არც ნ. ზიბერის გამოკვლევებზე\*). ვთქვათ ბ. ჯორჯადე აცხადებს, რომ იგი «მწიგნობარი» არ არის და ამისთვის მას მიეტყვება ის ცოდვა, რომ იგი არცერთ ზევით დასახელებულ მკვლევარს არ იცნობს; მაგრამ ერთი ვიკითხოთ: თუ ეს ასეა, თუ ჩვენი ავტორი წიგნებს გაურბის, მაშ რაღა საფუძვლით გაიძახის, რომ «ჯერ არავის დაუმტკიცებია, რომ ხალხის ეკონომიური ურთიერთობა მიზეზია ამა თუ იმ თვისების და ზომის კულტურის განხისაო?» აი, სწორეთ ასეთივე საფუძვლი აქვს ბ. ჯორჯადის იმ სიტყვებს, რომ „ისტორიკოს-მატერიალისტები თავის თეორიას ფილოსოფიურ მატერიალიზმზე ამყარებენ“. განვითარებულ ადამიანისთვის აშკარაა, რომ ეს ორი ერთი მეორესაგან დამოუკიდებელი მოძღვრებაა; სახელდობ: ფილოსოფიური მატერიალიზმის საგანს შეადგენს მატერია მისი ყოველგვარი ცვლილებით და სახით; იგი იკვლევს ქვეყნიერების დასაბამს, მის განვითარებას; ეძიებს და არკვევს სიცოცხლის წარმოშობას და იკვლევს ამ სიცოცხლის არსებობის პირობებს ცხოველებში და მცენარეებში. ხოლო ისტორიული მატერიალიზმის საგანს შეადგენს ადამიანთა საზოგადოება და საზოგადოებრივ ცხოვრების ნიადაგზე აღმოცენებული მოვლენანი, ე. ი. ის მოვლენანი, რომელთაც ბ. ჯორჯადემ ვერც თავი გაართვა და ვერც ბოლო.

მაგრამ უფრო საინტერესოა, თუ რა ცოდნა გამოიჩინა ბ. ჯორჯადემ დიალექტიური მეთოდის შესახებ. მისი აზრით დიალექტიური მეთოდი «წმინდა მეტაფიზიკური ცნებაა». ე. ი. გამოდის, რომ ის, რაც ძირს უთხრის ყოველგვარ მეტაფიზიკურ, აბსოლიუტურ და

\*) ჩვენ გვაქვს აქ მხედველობაში განსაკუთრებით მორგანის «პირველყოფილი საზოგადოება» (Ancient Society), მ. კოვალევსკის: Tableau des origines et de l'évolution de la famille et de la propriété, Общинное землевладение და სხ. და ნ. ზიბერის: Очерки первобытной экономической культуры.





განყენებულ მსჯელობას და აზროვნებას, თვით მეტაფიზიკა ყოფილა! დიალექტიური მეთოდის უფარვისობას და მეცნიერებაში ყოვლად გამოუდგეგრობას ავტორი ვითომდა ამტკიცებს ორი საუცხოვო მაგალითით. ერთ მაგალითს იგი იღებს ბიოლოგიიდან, მეორეს—ფსიხო-ფიზიოლოგიიდან. ერთიც და მეორეც იმდენათ საგულისხმოა ბ. ჯორჯაძის გონების სალაროს დასათესებლათ, რომ მე იმაზე მსურს მკითხველის ყურადღება ცოტა ხანს შევაჩერო. დიალექტიური აზროვნება გვასწავლის, რომ, როგორც ამბობდა ჯერ კიდევ საბერძნეთის ძველი ფილოსოფოსი ჰერაკლიტე (მე-VI საუკ. ქრ. წინეთ), „ყოველივე მიმდინარეობს, ყოველივე მოძრაობს“. ეს მოძრაობა გამოიხატება მოვლენათა ცვლილებაში, ერთის მეორეთ გარდაქმნაში. მეცხრამეტე საუკუნის უდიდესი ფილოსოფოსი, რომელმაც დიალექტიკა შექმნა აზროვნების უძლიერეს იარაღათ, ამბობდა, რომ ყოველივე მოვლენა იცვლება იმ ძალთა მოქმედების გამო, რომელნიც მას თან დაყოლილი აქვს. მოვლენა თითქო უარპყოფს თავის თავს. ამ უარყოფაში მდგომარეობს განვითარების ძირითადი კანონი. თვით ცვლილებას ჩვენ ვამჩნევთ მხოლოდ მაშინ, როცა მოძრაობა განსაზღვრულ საფეხურამდე აღწევს, ე. ი. როცა მოვლენა უარყოფილია და მის ალაგას ჩნდება მეორე მოვლენა, როცა ცვლილებას უკვე ხორცი შესხმული აქვს. ამნაირ ცვლილებას ანუ გარდაქმნას საფუძველათ უდევს რაოდენებრივი ცვლილება, რომელიც როცა განსაზღვრულ საფეხურს ახწევს, თვისებათ იქცევა. მსოფლიოს განვითარებას ეს რაოდენობრივი ცვლილება უდევს საფუძველათ. რაოდენობრივ ცვლილებათა თვისებრივ ცვლილებათა გარდაქცევას, რაოდენობის თვისებათ ქცევას, ყველაზე უფრო ნაკლებათ გვიმტკიცებს საზოგადოებრივ მოვლენათა გენეზისი, მათი წარმოშობა და ზრდა-განვითარება. ავიღოთ, მაგ., ფეოდალური, ანუ ბატონ-ყმური ხანა ევროპაში. დღეს ფეოდალური წესწყობილების განვითარება თავადან ბოლომდე, ე. ი. წარმოშობიდან მის სრულ გაუქმებამდე, სისწორით შეგვიძლია გავითვალისწინოთ. ჩვენი წელთა აღრიცხვის პირველ საუკუნოებში ფეოდალური წესწყობილების ხსენება არ არის; მაგრამ მისი ნასახი კოლონატობის სახით იმ დროს უკვე არსებობდა. რომის კოლონატი იყო რომის მემამულეს მიწაზე დასახლებული წინანდელი მონა; იგი მიწის მუშა შეიქმნა, მხოლოდ მიწა სხვას ეკუთვნოდა, და იგი ვალდებული იყო მისი პატრონის სასარგებლოთ რაიმე გადასახადი გაეღო. აქედან იწყება მისი დამოკიდებულება მიწის მფლობელისაგან. ეს უკვე ფეოდალური ურთიერთობათა სახეა. მაგრამ ასეთი დამოკიდებულება პირველ ხანებში იშვიათ მოვლენას შეადგენდა; მხოლოდ VIII—X საუკუნოებში გახშირდა იგი, ასე რომ ერთი მხრით გაჩნდა უმრავლესობა, რომელიც სხვის მიწაზე ცხოვრობდა და იმის მფლობელთაგან იყო დამოკიდებული; მეორე მხრით ჩვენ ვხედავთ უმცირესობას, მიწის მესაკონტრონეთ, სხვა-და-სხვა იერარქიის მებატონეთ, რომლებიც განაგებენ თავიანთ მიწაზე დასახლებულ გლეხთ. ეს უკვე ფეოდალური წესწყობილებაა, რომელიც რადიკალურათ განსხვავდება მონური წესწყობილებისაგან. ფეოდალური წესწყობილობის გაბატონებამ ყველაფერს თავის დადი და ელფერი დაასვა; სარწმუნოება, ზნეობა, უფლება, ოჯახი, ყოველივე ბატონ-ყმურ ურთიერთობათა

თა გამოიხატებოდა, მაგრამ როცა ფეოდალიზმმა დაამთავრა თავის ზრდა და მიახწია თავის განვითარების უმაღლეს საფეხურს, მის გულში ჩვენ უკვე შეგვიძლია აღმოვაჩინოთ მისი მოსპობის ნიშნები. მაგრამ იგი კიდევ რამდენსამე საუკუნეს ინახავს თავის გარეგან სახეს და მხოლოდ მე-XVIII საუკუნის მეორე ნახევარში, როცა რაოდენობრივი ცვლილება ახწევს განსაზღვრულ ხარისხს, ფეოდალური წესწყობილება სამუდამოთ ეცემა და მის ალაგას მყარდება სრულიად სხვა წესწყობილება, ე. ი. თანამედროვე ბურჟუაზიული, რომელსაც იგივე ბოლო მოეღის. ამაში მდგომარეობს დიალექტიური განვითარება.

როგორც ზევით ვთქვით, ბ. ჯორჯაძე ორი მაგალითით ამტკიცებს დიალექტიური განვითარების უსაფუძველობას. პირველი მაგალითი: «კაქკაქი, შეიძლება, დროთა განმავლობაში, სხვა ფრინველს დაემსგავსოს, მხოლოდ თავის დაღუპი იგი ძროხათ ან იქცევა... რაკი ეს ასეა, მაშინ ისიც არ ყოფილა მართალი, ვითომ რაოდენობა ყოველთვის თვისებათ იქცევა ხოლმეო» („ცნ. ფურც.“ № 1520. ხაზს ჩვენ ვუსვებთ). ამნაირათ იმის დასარღვევათ, რომ რაოდენობა თვისებათ არ იქცევა, ბ. ჯორჯაძეს კაქკაქი მოყავს, რომელიც, როგორც უნდა შეიცვალოს, „თავის დღეში ძროხას არ დაემსგავსებო“. მაგრამ ჩვენ გვაკვირვებს ის გარემოება, თუ რათ ბ. ჯორჯაძემ უფრო თვალში საცემი მაგალითი არ მოიყვანა? რათ, მაგ., მან არ დაასახელა, რომ მუხა, როგორც უნდა შეიცვალოს, სპილოთ მაინც თავის დღეში არ იქცევაო? ან ქვა—ცხენათ? ასეთი მაგალითებით იგი ხომ უფრო აშკარათ დამტკიცებდა, რომ რაოდენობა თვისებათ არასოდეს არ იქცევა? მაგრამ აქ ბ. ჯორჯაძეს უნდა ვკითხოთ: როგორ გონია მას: ნუ თუ მთელი ორგანიზული და არა-ორგანიზული ბუნება იმ სახით გაჩნდა, რა სახითაც ამას ჩვენ დღეს ვხედავთ! თუ ეს ასეა, იმ შემთხვევაში ჩვენ უნდა უარყოფოთ თანამედროვე ევოლიუციონური მოძღვრება, რომელიც გვეუბნება, რომ მთელი ორგანიზული სამყარო: მცენარენი და ცხოველები და, მაშასადამე, ადამიანიც, ნაყოფია ხანგრძლივი განვითარების. ერთი სიტყვით, ბ. ჯორჯაძის მსჯელობა პირდაპირ უარყოფს თანამედროვე მეცნიერებას. როგორც ზევითაც შევნიშნეთ, ამ ვაჟბატონს ძლიერ უყვარს მეცნიერებიდან რაიმე ცნობის ან მაგალითის მოყვანა, მაგრამ მის უნებლიეთ ეს გარემოება უფრო ამჟღავნებს მის მეტაფიზიკურ აზროვნებას. მისთვის წარმოუდგენელია, მაგ., კაქკაქის ძროხათ გადაქცევა, და იგი ვერავითარ შემთხვევებელ ძაფს ვერ ხედავს ამ ორ ცხოველთა შორის. მაგრამ აბა იგი დაკვირვებოდა ამ ცხოველთა წარსულ ისტორიას, რადგანაც არც კაქკაქი და არც ძროხა იმ სახით არ გაჩენილან ქვეყანაზე, რა სახითაც იმათ ჩვენ დღეს ვხედავთ, და მაშინ იგი დარწმუნდებოდა, რომ რაოდენობა იქცევა თვისებათ. გარდა ამისა, თუ კაქკაქი ძროხათ არ იქცევა, უამისოთ რაოდენობის თვისებათ გარდაქცევა არ შეიძლება? განა ერთი ჯიშის კაქკაქი არ განსხვავდება მეორე ჯიშის კაქკაქისაგან რაიმე თვისებით, და საიდან არის გამოწვეული ეს თვისება, თუ არ რაოდენებრივი ცვლილებით? არა ნაკლებ საუცხოვოა ბ. ჯორჯაძის მეორე მაგალითი. „ფსიხო-ფიზიოლოგიამ დაამტკიცაო, — გვეუბნება იგი, — რომ ადამიანში ორნაირი პროცესია —



ფსიხიური და ფიზიკური. ერთი პროცესი ხშირად მეორე პროცესის მიზეზია, მხოლოდ არასოდეს ფსიხიური პროცესი არ გადადის ფიზიკურში და პირიქით... მაშ, ფსიხო-ფიზიოლოგიაშიაც არ მართლდება ის ჰიპოთეზა, რომ რაოდენობა ყოველ შემთხვევაში შეიძლება თვისებათ იქცეს... ამიტომ ის, რაც ჰეგელს და მარქსს შეუცდომელ ქეშმარიტებათ მიიჩნდათ, „ცრუ ქეშმარიტება“ ყოფილა“ (იქვე). აქ სწორეთ აღარ ვიცით რა სჭარბობს: გამბედაობა თუ უეცრობა! თუ ბ. ჯორჯაძე ფსიხო-ფიზიოლოგიას ოდნავაც მაინც იცნობს, რათ მან არ იცის ის უბრალო ქეშმარიტება, რომ ერთი და იგივე მოქმედება, სულ ერთია ფიზიკური იქნება იგი თუ ფსიხიური, განმეორებული რამდენიმეჯერ, იწვევს სულ სხვადასხვა თვისების შედეგთ? ან შეიძლება მის დუალი-სტურმა შეხედულებამ დაუბნია დავთარი!..

მოსაუბრე.

### სწვა-დასწვა აძებთ.

კავკასიის გამოფენის საორგანიზაციო კომიტეტმა 15 აგვისტოს სხდომაზე დაადგინა: გამოფენა გაიხსნას 2 სექტემბერს; წინეთ გამოფენის გახსნა 20 აგვისტოსთვის იყო დანიშნული.

თბილისის გუბერნატორმა მოსთხოვა თბილისის ქალაქის გამგეობას, მიიღოს საჭირო ზომები, რომ ქალაქში შენობები აღარ დაინგრეს ხოლმე; ამასთანავე გუბერნატორი დასძენს, რომ თუ ეს მოთხოვნილება მალე არ იქმნა აღსრულებაში მოყვანილი, ქალაქის გამგეობა პასუხის გებაში იქნება მიცემული.

პირველ სექტემბრიდან ბაქოში გაიხსნება ახალი სასწავლებელი მუსულმან ქალთათვის. სასწავლებლისათვის შენობა ააგო თავის ხარჯით ცნობილმა კაპიტალისტმა მ. ტაგიევმა.

ფრანგთა კაპიტალისტებს აღუძრავთ შუამდგომლობა, რომ მიეცეთ მათ იჯარით დუშეთის ახლო ადგილი. ბი ლიტოგრაფიის ქვის საკეთებლათ.

განჯის გუბერნიის სოფ. გურჯაანში შემოდგომიდან გაიხსნება საქონლის შავი ჭირის ასაცრელი სადგური.

**ვაზ. «Кавказ»-ში** ვკითხულობთ შემდეგს: თბილისის ცხენის რკინის გზის კონდუქტორები და კურები აქნობამდის დღე-ღამეში მუშაობდნენ 17 საათს. ამაზე არა ერთხელ იყო აღძრული კითხვა, რომ სამუშაო დრო წესიერათ მოწყობილიყო. თანახმათ საშინაო საქმეთა მინისტრის მოწვევით იყო ამ საგნის შესახებ დაინიშნა განსაკუთრებული კომისია. კომისიას პირველი სხდომა ჰქონდა წარსულ ივლისის 26-ს. ამ სხდომაზე აღნიშნული იყო ის, რომ მოსამსახურეთათვის მეტისმეტათ სამძიმოა 17 საათის მუშაობა დღე-ღამეში. ამიტომ წინადადება მისცეს ტრამვაი გაძეგობას შეამციროს სამუშაო დრო. მეორე სხდომა კომისიას ჰქონდა ამ თვის შვიდში. ტრამვაის დირექტორმა ბ-ნმა ბლაშმა ითხოვა, რომ სამუშაო დროთ მიღებული იყოს დღეში 10 საათი და ყოველ მეოთხე დღეს მორიგათ იმუშაონ კიდევ ზედ-მეტ

ხუთი საათით. მაგრამ კომისიამ შესაძლებლათ ვერც შეძლო ამის მიღება. შემდეგ დადგინეს ასე: სამუშაო დრო 10 საათით, ექვსი თვის განმავლობაში, მიღებულ იქმნას დღეში ათი საათი, მხოლოდ დასვენებით, ასე რომ დღეში მუშაობა მხოლოდ ცხრა საათს გრძელდებოდეს; ხოლო ზამთარში სამუშაო დრო იყოს 8 საათი და ზოგიერთ შემთხვევებში შეიძლება გაგრძელდეს ცხრა საათამდე. ეს დადგენილება ძალაში უნდა შევიდეს 22 აგვისტოდან.

რაც შეეხება სამუშაო ფასის განსაზღვრას, ეს საქმე განიხილება კომისიის ცალკე სხდომაზე.

ხვალ, 20 აგვისტოს, ტფილისში დაიწყება კავკასიის სიონისტთა კრება. დელეგატები უკვე ჩამოვიდნენ. კრებაზე შესვლა ბილეთებით იქნება.

სიღნაღის ქალაქის დეპუტატთა დადგენილებით ქალაქის მამასახლისს და მის თანაშემწეს ჯამაგირები შეუმცირდათ: პირველს 1000 მანეთიდან 800 მანეთამდე, მეორეს 600-დან 500-დღე.

დაბა ოჩემჩირიდან იტყობინებიან, რომ დიდძალი სიმინდი შემოდის ბაზარზე, ფუთი ფასობს 50 კაპ.

იუნკრის სასწავლებელში წველს კურსი დაამთავრა 115 კაცმა. მათ შორის 100 რუსია, 6 სომეხი 1 თათარი და 8 ქართველი.

ჩვენ მივიღეთ ახალი წიგნი:

„ლექსები და პოემები“ ი. ველოშვილისა ავტორის სურათით, მეორე შევსებული გამოცემა გ. წულუკიძის და ამხ. ამ წიგნში შედის როგორც პირველ გამოცემაში მოთავსებული, ისე ყველა მერმინდელი ნაწერებიც, რომელნიც სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებში იბეჭდებოდა. წიგნი ღირს 50 კაპ.

### კორესპონდენციები.

**სოფ. ხიდისთავი.** მოგესვენებათ, რომ ჩვენს ქვეყანაში ორი ხიდისთავი: ერთი გორის, მეორე გურჯაის. მე მოგასვენებთ უკანასკნელზე. ის ერთ ზატარა უშნო დაბას წარმოადგენს. მიუხედავად ამისა ხიდისთავის ცხოვრება ფრიად სანტურესოა, თუნდაც იმითაც, რომ აქ მრავალი ვიპეები იმართება. აი, მაგ., უკანასკნელი კრება, რომელიც შესდგა ბ. ი. ქუთათელაძის წინადადებით და ს. ბუჩიძის თავმჯდომარეობით. კრებას (ე. ი. ბ-ნს ქუთათელაძეს) მსჯელობა ჰქონდა ფრიად სანტურესო ვითსებზე, სასუდდობრ: «რას აჩნის სასურველი და საჭირო სსენებელი სოფლისათვის». მკითხველი მისჯდება, თუ რა ფართო ასწარუნი ეძლევა აქ «ხატკრას» და «სურვილას». ამიტომაც კრების დადგენილება დასდროებით ასეთია: კრებამ «სასურველათ» იცნო: 1) დაასდგეს ხიდისთავში სასუდმყოფო სარკით აბრეშუმის თესლის შესანახი სადგაფი. 2) გასსუფათ შემოსული თესლი უთუოთ შემოწმებულ იყოს და უაღბო არ გამოდგეს. 3) ადგილობრივ ქალების სკოლაში ან სსკაგან მსურველთ აჩუბონ რაციონალურათ ჭიის გამოკვების მაგალითი. 4) დაასდგეს ხიდისთავში თუთის სის სასურვე, საიდნაც შეკდებათ მსურველთ უფასოთ ან





ფასით სურვილის შიშისა. 5) გადავალეულ იქნას „მელიორატიული“ ბანკიდან სესხის აღება. 6) შეადგეს „მეთამბაქოეთა ამხანაგობა“ ადგილობრივ მემამულეთაგან. 7) აგრეთვე სასურველია მურხნობის უკუდა დარგის წინსვლა-განვითარება.

მართალია, ჩანს ბევრია, მაგრამ აქ სურვილების შეწყვეტა მაინც ნაადრევია. ეს იმას უნდა მიეწეროს, რომ ბ-ნი ლექტორი მდიერ დაილა და დაიქანდა, თორემ სიდასთავლების ნატურის გუდა ასე მალე არ დაიწყებოდა... განსასურველი არ არის, რომ გუბაზოვლის ნაშირი ცემენტის კედლებით გამოგრდეს, გზები კარგათ მოიკეთდეს, დედაყვისით მოგზაურობა გააფუტოს, სამკითხველს შენობა აშენდეს, სიდი რომ იხრება—გაკეთდეს, ღუქების ასლო-მასლო მეტი სიხურეთავე იყოს? მე მივიჩნის მსოფლიო შემდეგი: რატომ კრებამ ის არც ცნო სასურველათ, რომ ბ-ნი ქუთათელაძეს უამაგირი მომატებოდა?! ეს კითხვა ფრთხილად საჭირო და სასურველი იყო და ამასთანავე თითონ კრებას უნდა წამოეყენებოდა და ამით თანაგრძნობა განეცხადებოდა პატრიარქული ლექტორისათვის. ბ-ნი ქუთათელაძე აკურ რამდენიმე წელიწადია დადის სოფლიდან სოფლათ, აკრებს „სურვილებს“, ჰქმნის „გამოთქმებს“, არაგებს სანუქებს, კითხულობს ლექციებს, ადგენს პროექტებს და ვინ იცის რას არ შერება. გასულ წელს ოსურგეთის და ნაგომრის გამოთქმებიდან «სურვილებით» დატვირთული წავიდა, მაგრამ იმათი ბედ-იღბალი ვერ არავინ უწეის. ხადისთავლებს ვი შეგვიძინდა, რომ იმათ სურვილებს წინ თავის აზრს გაუმძღვარებს და იმედია მაშინ ქვასაც გასეთქვს. ტანჯვა ბ. ქუთათელაძეს ერთობ ბევრი მოდის, რადგან კრებებზე ლაზარავი მარტო მას უწევს და კრებამ ვი მსოფლიო ერთი ფრანზა უნდა თქვას ერთხმად ას ცალკედაც: «დასასურველია», მორჩა და გათავდა. ან და რომელი სურველი იტყვიან ზემო აღნიშნული კითხვები სასურველი არაა? ბ-ნი ქუთათელაძეს ვი მეტათ ბევრი სიტუებები ესარება მათი „სასურველობის“ დამტკიცებისათვის.

ამ დღეებშივე სიდასთავი მეორე ამბავმა ალაზარავა და ვიდევაც ალაზარავებს. საქმე იმაშია, რომ მასრის მთავრობას სიდასთავში აფთაქის გასწრაფი დაუნახავს და უძღვლესი მთავრობისთვის სასურველი აზრი წარუდგინა. როგორც ამბობენ, ამ საქმის განსორციელებას ცდილობდა ბ. ი. ივანოვი. ასლა საზოგადოებას განუხრანავს აფთაქის გასწრაფის უფლება თითონ მოიპოვოს. აზრათ ჰქონათ ან იკარათ გადაცემა სხვა პირს ან დაქირავებული პროვიზორის დაუხება. შემოსავალი ვი რამე საზოგადო საქმეს მოახმაროს. იმედია, თუ ვი განიხი სკლს არ შეუშდის, საზოგადოება სურვილს დაიკმაყოფილებს. ორივე მხარე დაფიცურებულა და ვინათ, ბედი ვის გაუცინებს. მაგრამ საკვალლო ის აქნება, რომ ორივენი სულდალიერი დაჩნენ.

ფილოქსერა.

**ზიადთარა.** როგორც ესოდებოთ მკითხველებს, შარშან მიწვეულთა საზოგადო კრებაზე ქუთაისში დიდი კამათი გეჭონდა ამის შესახებ, რომ ჭიათურის წყარო, ჩვენი საერთო ფუფლით ნაუდი, რკინის გზის მიმდებარეობამ გაიყვანა მიღებით სადგურისკენ. ამის შესახებ საბჭომ გვიხანდა, რომ, მართალია ეს, მაგრამ რკინის გზა ვალდებული განდა გაიყვანოს წყალი ბაზარშია და შავი ქვის ბაქსებთანაც, ასე რომ სადსიცი ისარგებლებს და ჭიათურასაც დავისწინით იმ საშინელი მტკვრისაგან, რომელიც იქ საფსულებით არის. მეტი რა გზა გეჭონდა, ჩვენც დაუთინსმდით. სოლო დღეს რას ვხე-

დავთ? რკინის გზამ მართალია სამი კონი დადგა სულ მთელ ბაზარში და იმით გაათავა ყოველივე საქმე. არც ბაქსებს შვა გაუყვანია, არც ქუჩები ირწყვის და არც არაფერი. ჩვენზე გატრეებულ მდგომარეობაში არა მგონია ვინმე იყოს ამ მსრით. ამ აუტანელ სიცხეში თუ დახება ქარმა, მტკერი გვასწრებს, მეჩე ისიც შავი, და თუ არა სიცხით გვეჭრება სული, მაგრამ ვინ არის მადლიანი, რომ გვიშველოს. მე მგონია ამ მდგომარეობისთვის უურადლება უნდა მიეჭრია საბჭოს და თუნდა რომ რკინის გზის მიმართულებით ვალდებული არ ყოფილიყო, თითონ მაინც უნდა ელონა რამე... მე მასსოვს, შარშან თუ შარშან წინ ბოტკებით ანბრებდენ ქუჩების მოწვევას და წელს სომ ეს არ დაჭირდებოთ. ღვთის მადლით წყალი მადიან ბუკრი გვაქვს ჭიათურაში.

გ. მოღვაძე.

**დ. ხონი.** სონი «მასწავლებელთა» დახა. კურსად მთელ საქართველოში, კარდა დიდი ქალაქებისა, ვერ ნახავთ იმდენ მასწავლებელს, როგორც სონში. მათი რიცხვი 50-ზე მეტად არის, და უნდა ნახო ეგ მთელი რაზმი «განმანათლებელთა», როცა ქალაქის ბუღვარში ჩამწვრილებული ოსუნჯობს, იცინის, მასლანათობს. ერთი სერიალური კითხვა, მათ მიერ წამოყენებული საზოგადოებაში, ვერ არავინ უნახავს. მე მარტო სოფლის მასწავლებლებზე არ ვლაზარავობ. არის ვი რამე მომწივებული კითხვა სონში ამ სანათ? როგორ არა! აი თუნდა, მაგალ., შემდეგნი: 1) სონში კორესპონდენცია მოდის მსოფლიო სამხატობით და პარასკეობით, მაშინ რომელსაც დავილათ შეიძლება ყოველდღე დადიოდეს; ყურნად-განუთობა და წერილები უნდა დავიკეთოთ სამტრედიით ან ქუთაისით. იქიდან ვი მოიტანს მედილიენე ან მეტლე (რომელსაც კრება დავალებს და მტრე სასუიდელსაც დაუნიშნავს) ბიბლიოთეკაში. აქედან ვი წაიღებენ პატრონები. ამგვარათ გავრძელებდა ყურნად-განუთობის მიღება, სანამ სამანსტრო სონში «ფოსტის კანტორას» დაასრულებს. 2) ასლათ გასწრაფი სამკითხველს უნდა მოწესრიგება და მოწუობა საღისის გემოვნებაზე და არა არისტოკრატიას, რომელიც ისედაც იმოწინის გონებრივ სარდლს. 3) ხონელი ცოტათ თუ ბევრათ დაქნება თეატრში სიარულს. შეუდგინოთ მას რეპერტუარი თანამედროვე პესუბაისა. თავი დავახებოთ არსიებს. 4) ვმართოთ «ლიტერატურულ-მედაგოგიური» საღამოები, რომელთაც, უეჭველია, აღმსრდელი მნიშვნელობა ექნება, სან ფასით და სან უფასოთაც... რომელსაც ყოველივე ამას მივაჭრებთ ყურადღებას, მაშინ კარტი და ხარდი თავისთავათ დავარგვენ მნიშვნელობას.

5) ავსტრის ადგილობრივი სამი სტუდენტის სახარებლოთ წარმადგინეს «და-ძმა», რომელმაც კარგათ ჩაიწა. ადგილობრივი სტენის მოყვარე ქალი სინტირია საუცსოლო მოსდენილათ თამაშობს «გადიას». კარგი იყო ქ. გვეტაძე მარინეს როლში. ვატებსაც არა უშავდათ რა.

მო-ნი.

**ოზურბათი.** ადგილობრივ ბიბლიოთეკაზე დიდი სანია არაფერი თქმულა და არც არავინ იცის მისი დღეისდელი გარემოება. მე ვიცი, რომ ამ ბიბლიოთეკამ ბევრი შემოწინილება მიიღო; აგრეთვე აქაურმა ასლაგანებმა წამოადგინა გამართეს წარსულ ივლისში მის სახარებლოთ; მაგრამ რა შემოვიდა, არავინ იცის. თუ რამდენათ მკნებულა ბიბლიოთეკის ასეთი უყურადღებობა, შემდეგი ფაქტიდან ჩანს. მე მითხრა ერთმა კაცმა. აქას წინეთ მე მივიღე ფულები ბიბლიოთეკის



სასარგებლოთ ქუთაისში შეკრებილი ჩემი ნაცნობისაგან და გადავეცი ბ-ნ გამკეს, მაგრამ ერთი წელიწადი გადას და გასეთში არ აცხადებს, როგორც მე ვთხოვე. ასეა კიდევ მივიღე ასეთი შემოწირულება, მაგრამ იმულებული ვარ აღარ გადავეცი. უმჯობესია რომელსამე სოფლის ბიბლიოთეკას გადავცე. გამოცხადება საჭიროა, რომ შემოწირველს ეტკი არ დაუბადოს ფულის დანიშნულებისამებრ გადაცემაზე. იმედია ბ. გამკე ამ საყვედურებს აიშორებს თავიდან.

ბიბლიოთეკის ერთი წევრთაგანი.

**ს. სურმბი (გურია).** ნ აგვისტოს ადგილობრივ სკოლის დარბაზში მოხდა საგანგებო კრება შემხანველ-გამსესხებულ ამხანაგობისა. კრებას უნდა განესილა შემდეგი ვითარებები: 1) გაუქმება 20 მაისის დადგენილების, რომლის ძალითაც ამხანაგობის მოკებიდან უნდა გადაეღვათ 60 მან. ბუნდოვანი სურათებისთვის ფანრის შესაძენათ; 2) დათხოვნა სარკეისიო კომისიისა, რომელიც არჩეულია აგურ თითქმის სამი წელი და რომელსაც არავითარი რევიზია არ მოუხდენია. 3) უოკელი ვითისვის დასურული გენჭის ფრით გადაწვევა. კრება გაისხნა ბ-ნ თეოფ. რამიშვილის თავმჯდომარეობით. შიშველმა ვითსვამ დიდი კამათი გამოიწვია: უმეტესობა თხოვლობდა შემოსესხებულად გადაწვევტილების გაუქმებას. კრებამ 36 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ ნ ხმისა გააუქმა თავის წინანდელი გადაწვევტილება. ამ დროს უცხო შემოვარდა სიღისთავში ვარგათ ცნობილი მოძ. ნ. რამიშვილი (საბჭოს თავმჯდომარეა), დაიწყო ზალაში სტუნვა და წაღაცასი ლაპარაკი. თავმჯდომარემ ბევრჯერ თხოვა დამშვიდებულყო, მაგრამ ის მანინც არ ისვენებდა. ბოლოს მოთმინებიდან გამოსულმა თავმჯდომარემ თხოვა ვარგათ გაბრძანებულყო; ცოტა ხნის შემდეგ როგორც იყო დაწესდა. როდესაც სარკეისიო კომისიის შესასებ ჩამოვარდა ლაპარაკი, მაშინ ერთმა მათგანმა გულუბრყვილოთ თავის მართლება დაიწყო, მაგრამ მალე შეუწვიტეს «რეზი» და დაბრძანება თხოვეს. თავის გამართლება რომ ვერ მოახერხა, მან სულ სხვა ჭანგზე დაიწყო მღერა: «სარკეისიო კომისია არ ყოფილა (!) საჭიროა და არც არის». კრებამ დაადგინა მოიწვიოს სარკეისიო კომისია, როდესაც საჭიროება მოითხოვს. დანარჩენი ორი ვითსვამ გადაწვედა ერთხმათ ისე, როგორც შემოთაა მოხსენებული.

ერთი საინტერესო ამბავიც. ვიღაც ინგლისელი კაპიტალისტი უიდელობს სურების ტყეს 100,000 მან. ტყის ექსპლუატაციის დაიწება ამ ერთ წელში.

იოგანეს.

**რუსეთის ცხოვრება.**

ბუკდვითი საქმის უმთავრესს სამართველას უფროსის თავ. შასოვსკოის მოგზაურობა პროვინციისში, გაზ. «იუენ. ობოზრ.»-ის სიტყვით, უნაყოფოთ არ ჩაივლის. «რასაკვირველია, — წერს გასეთი, — დიდ შეღვათს, ფართო ცვლილებათ ჩვენ არ მოკვლით; ჩვენ იმედი გვაქვს მხოლოთ იმის, რომ ბუკდვითი სიტყვის მდგომარეობა შეიქმნება უფრო მკვიდრი, დამოუკიდებელი სხვა-და-სხვა შემთხვევის გაკვლანათგან. ჩვენ უნდა ვიფიქროთ, რომ ბუკდვითი სიტყვას შეძლება მიეცემა სმა ამოიღოს ადგილობრივ საჭიროებაზე და ჭირ-ვარამზე, მხოლოთ ერთთა ერთი მიზნისთვის — ადგილობრივ მცხოვრებთა სასარგებლოთ».

== ამ უამათ რუსეთის გასეთებში და საზოგადოებაში ბევრს ლაპარაკობენ ცოლ-ქმრობის გაყრის საქმის სამოქა-

დაქო სასამართლოში გადაცემის საჭიროებაზე. გაზ. «როსსია» ამას დასძენს, რომ საჭიროა აგრეთვე გაუქმებულ იმნას სასულიერო კონსისტორიის დებულების მე-253 მუსლი, რომლის ძალით მტუყან მხარეს სამუდამოთ ესპობა ცოლ-ქმრული გაუქმების უფლება. ეს იმას ნიშნავს, რომ სასულიერო სასამართლო შიშდაშირ აგნონებს უგანონო შეკრებებს, რადგანაც ასაღვანდა ადამიანისთვის უამისოთ ცხოვრება შეუძლებელია.

== სასაღსო განათლების კომისიის სარკუთადრიცხვით შეტერბურგში 1902 წელს გადაღებული უნდა იქმნას 1.430,000 მანეთი, მეტი შარშანდელზე 133,000 მანეთით.

== როგორც გასეთები იწერებან, შეტერბურგის, ნიუნი-ნოგოროდის, ვაზანის და ასტრახანის ასლო-მასლო ადგილებს, იმის გამო, რომ ტრცხლი კვიდება ტყეს, ტოროს და შენობებს, სქელი კამელი აქვს მოღებულია.

== კვატარინოსლაში ადგილობრივ ინტელიგენციას შეუდგენია ამხანაგობა გასეთის გამოსაცემათ. ამხანაგობას უკვე მიუღია ნებართვა და შემოდგომიდან გასეთი დაიწება გამოსვლას. გასეთს ეწოდება «ვესტნიკ იუკა».

**ს ა ს ლ ვ ა რ ო ვ ა რ ე თ .**

**ინგლისი.** ლიბერალთა ლიგამ გამოსცა პროკლამაცია, რომელშიაც ინგლისის პოლიტიკურ და სამხედრო მდგომარეობას ასურათებს და შემდეგ განაგრძობს:

«მთელი ჩვენი ქვეყანა უფრო და უფრო ცხადათ თხოვლობს, რომ ამ ტანჯვასა და მწუხარებას ბოლო მოეღოს. სწავტო ზავი ამ უამათ უკვლას სჭირია: სჭირია წამებულ სამსრეთ-აფრიკას, სჭირია დიდი სარკებისაგან გასრული ინგლისის ერს. ზავი სწავდა ჩვენი იმპერიის ყოველ მოქალაქეს, უკვლას, ვისაც კი ინგლისის სახელი და კეთილდღეობა რათმე მიანია... უნდა ვარგათ აწონოთ ჩვენი ესლანდელი მდგომარეობა, სიგრესვილია ლიბერალებმა ვარგე მყუერბულივით ვუტვიროთ საქმეს იმ დროს, როცა თვით ჩვენი იმპერიის საფუძველი ირუება და ძირს: უთხრან იმ სამიკველს, რომელსაც ჩვენი თავისუფალი იმპერია, ეს თავისუფალი ერების დიდებული რესპუბლიკა დგას. ჩვენმა მთავრობამ მთელი ერთი საუკუნით დახნია უკან და იმ პოლიტიკის ძფის წვერს წაავლო სელი, რა ძაფიც 1775 წელს გაწედა, იმ დროს, როცა შეერთებულ შტატებს საქმე გაუჭირეს და აჯანყებამდე მიიყვანეს. ჩვენ მთელ სამსრეთ-აფრიკას ერთხანიართ თანასწორათ უნდა ვუტვიროდეთ. დიდი უსამართლობა იქნება, რომ ერთ ერს მეორე ერთი გაუჭკვევინოთ. სამსრეთ-აფრიკაში ის პოლიტიკა გაამარჯვებს, რა პოლიტიკაც უკვლას ერებს თანასწორ უფლებას მიანიჭებს და ბუჯითათ მოითხოვს, რომ სამსრეთ-აფრიკის უკვლას ადგილებს ნამდვილი თავისუფალი თვითმართველობა მიეცესო. ჩვენი აზრების გამარჯვებისათვის ის არა ვამარ, რომ ლიბერალური პროგრამის ძარტო დიდ საერთო ერებზე გავაგრცხლოთ. საჭიროა უკვლას ადგილობრივი ლიბერალური ასოციაციები მსხეთ იქცეოდენ და ამ პროგრამას აგრცხვებდენ, რადგანაც ლიბერალური დასის ძალა ამ ადგილობრივ ასოციაციებზეა დამუარებული. საღსს ცხადათ უნდა დავანსავოთ, რომ ზავი აუცილებლათ საჭიროა ინგლისისათვის. ასოციაციები უნდა ეცადონ თავიანთი განახლებით და რეზოლიუციებით ლიბერალ-დემუტატებს ძალა დაატანონ და ზავის ჩამოგდება მოათხოვინონ». ავტორისათვის მარჯვე დროთ ლიგას ნოემბერი მიანია, და როგორც ამ პროკლამა-





ცაიდან ჩანს, 500 მეტრების გამართვის ფიქრობს ამ მიზნით.

— ამ ორი კვირის წინეთ დაიხურა ინგლისის ზარდაქმნის სესია. იგი შესანიშნავი მსოფლიო თავისი უნაყოფობით შეინაურა პოლიტიკაში. ანტი კრთი დაიწყო საზოგადოებრივ რეფორმების მოხდენის მინ არ გამართლა. ეს აისახება მით, რომ მთელი ურდადება როგორც საზოგადოების, ისე ზარდაქმნის საჯარო პოლიტიკასზე მიქცეულია.

**საზრახველი.** ასალა დეკრეტით იუსტიტა კონგრესაციების შესახებ, რომელსაც რესპუბლიკის პრეზიდენტმა უკვე სული მოაწერა, ეს კონგრესაციები უნდა ექვემდებარებოდნენ ეპისკოპოსებს და არა პაპის, როგორც აქნობამდის იყო. ამ გარემოებამ დიდი აღნიშნული გამოიწვია კლერიკალთა ზარდაქმნაში. ისინი ამ სახელ კანონში ჰსკედავენ პაპის უფლების დარღვევას. ზოგიერთა მონასტრის წინამძღვრებმა ის აზრი გამოთქვეს, რომ ვალდეგ-რუსოს უნდა ამით უთანხმოება ჩამოაგდოს პაპს და ეპისკოპოსთა შორის და ამხარჯათ თვით ეკლესიური განსუთქილებაც გამოიწვიოს. კლერიკალთა ორგანოები უჩვენებენ ეპისკოპოსებს არ გაუბან ვალდეგ-რუსოს მიერ დატვირთ მასზე. მაგრამ, როგორც ვიცით, ამ დეკრეტმა უკვე გაიარა პარლამენტის პარტიკულში და დღეს იგი აღსრულებში უნდა იყოს მოყვანილი, როგორც მთავრობის გადაუვალ დადგენილება, ხოლო იუსტიტა ტირილი და გოდება, რასაკვირველია, გულს ვერავის მოუღებებს და რაც შეეძლება მათ შეჭრას, ეს ხომ მთლათ სასაცილოა.

— მეორეთ გენგის ურის დროს შალონში გაიმარჯვა სოციალისტმა ბუერემ, მონტო-ლე-შინის მეშვე, რომელმაც მიიღო 11,815 ხმა; მისმა ძირწინააღმდეგემ, მელინის მომხრემ, პინეტმა მიიღო 9,180 ხმა.

— საინტერესოა მილიონების სოციალისტური პოლიტიკა თავის პრაქტიკულ განხორციელებაში. როგორც ვიცით სოციალისტ-მინისტრმა შეიმუშავა მუშათა პენსიის პროექტი, რომლითაც უკვე გამოყოფილია გარდა თვით მუშებისა, და საბუთიც აქვთ. პროექტის განსახორციელებლათ ასალი გადასახადი უნდა იქმნას შემოდებელი, რომელსაც ისდიან თვით მუშები და კაპიტალისტებაც. ვინც დღეში 5 ფრანკს შოულობს, ის ისდიან 3/10, ორ ფრანკიდან—5/10, 75 სანტიმიდან 6 პროც. კაპიტალისტებმა კი უნდა ისდიან იმდენი რამდენსაც მათი მუშები გადასდიან ერთათ. გედის და ვალიანის აზრით ეს გადასახადი უსამართლო და უთანასწორო არის, თან უკველია, რომ კაპიტალისტი თავის ხვედრ გადასახადს ან საშუალო ქირის დაკლებით ან სხვა გზით ისევ მუშებზე გადაიტანს, და მაშინ უსამართლოა გაორკვებულია იქნება. მუშათა პარტიის წარმომადგენლებს გამოუხეზარიშებათ, რის გადასდელ მუშას რა გარა პენსია დაენიშება სასელმწიფოვანს თუ ეს პროექტი მიღებულ იქნა და შეუდარებათ კერძო, კომერციულ დამსხვევ საზოგადოებასთან და გამოდის, რომ კომერციული საზოგადოება ბევრათ მეტს აძლევს ვიდრე სასელმწიფო. აი ეს ანგარიშიც:

მუშა, რომელიც დღეში 5 სანტიმის ისდიან ანუ წელიწადში 12 ფრანკს და 50 სანტი., მისთვის კაპიტალისტი შეიტანს წელიურს საპენსიო კანონში 25 ფრანკს, და 30 წლის შემდეგ სასელმწიფოვანს მიიღებს პენსიით 185 ფრანკს, კერძო საზოგადოება კი ამავე გადასახადით მისცემდა 228 ფრ. ასეთივე განსხვავებაა სხვა კატეგორიებისთვისაც: 10 სანტიმის გადასდელი სასელმწიფოვანს მიიღებს 370 ფრანკს კერძო საზოგადოებიდან კი 446 ფრ., 15 სანტიმისა—მი-

რველიდან 555 ფრ., მეორესგან 660 ფრ., და ამის შემდეგ რაღა გასაკვირვებია, თუ უკვლასე მეტ წინააღმდეგობას მუშები გაუწევენ ამ კანონ პროექტს.

**პარმანი.** სადამოყენო ტარიფის წინააღმდეგ, როგორც ვიცით, ამსედრებულია გერმანიის უკვე პარტიები, გარდა აგრარებისა რასაკვირველია და ენერჯიულათ ებრძოლებიან მას. გერმანიის ბურჟუაზიას ბერლინი და ურეგების პროკლამაცია. სუთი გერმანელიდან ერთი უკველიათ უცხოეთთან ვაჭრობით ინახავს თავს, ორი კი პირდაპირ დაინტერესებულია ამ ვაჭრობის განვითარებაში, ამბობენ ისინი. ესდანიდელი პროექტის ნიდაგ-ზე შეუძლებელია სავაჭრო სელშეკრულებათა არსებობა და უფრო მოსალოდნელია სადამოყენო ომი, რომელიც უფრო გასმწავებს თანამედროვე კრიზისს. ასათასობით სადსი უმუროთ დარჩება, დაეცემა სამუშაო სელფსაი, და ყოველი მეტი ფუიანგი პურზე ნიშნავს პურის პროცენტის შემცირებას ქალეებისა და ბავშვებისათვისაც, და ამასთანავე სიკვდილისა და დანაშაულის მომატებას. ანტი გლეხობას შეუძინება არაფერი ამ ტარიფით და აგრარული ბავშვი ერთხანით ანახალებენ სოფელსა და ქალაქს; და ისინი იწვევენ სადსს შეიგონ ამ პროექტის უარგისობა და უსამართლობა. თვით აგრარებს, რასაკვირველია, არა სასიამოვნოთ უჩნებათ ბურჟუაზიის ასეთი წინააღმდეგობა, მაგრამ უფრო მუშათა პარტიის—სოციალ-დემოკრატიის ეშინათ, რომელიც ამ შემთსვევაში ბურჟუაზიასთან ერთათ მოქმედებს, რადგან უმთავრესათ პურის გაძვირება მუშათა და უმწყო სადსს შეავწრობს. მომავალ თვეში ამ საგანზე გამოთქვამს თავის აზრს ლიუბევის კრებაზე ბებელიც. თუ მივიღებთ მსელელობაში სოციალ-დემოკრატიის შესანიშნავ ორგანიზაციებს და ძალას, უნდა დავრწმუნდეთ, რომ თუ პროექტი უარყოფილ ან შეცვლილ იქმნა, ეს უმთავრესათ სოციალ-დემოკრატიის წყალობით მოხდება.

**მალი.** სასელმწიფოთა შორის სასელმენების რიცხვით უზირველესი ადგილი ეჭირა და დღესაც უჭირავს ინგლისს. ის თავისი გონიერული მმართველობით ყოველთვის ასწევდა მიზანს. ამ პატარა კრებისათვის დიდი ბრიტანია იყო უფრო გონიერული მმართველ-გამგებელი, ვინემ მშრობელ-ბატონი.

ხოლო ამ უკანასკნელ დროს ინგლისმა უდალატა თავის წინანდელ პოლიტიკას. ის, რაც მან მოიზავა თავის გონიერი პოლიტიკით ჰვარგავს სალა «მთავების» და თოფ-ზარბაზნების ჰქვეყნილით. სხვათა შორის ასევე ემართება მას დღეს გუნძელ მალტაზედაც. ეს გუნძელი სულ პატარაა და ძვეს იტალიის მახლობლათ. იგი სიგანით 14 კერსია, სიგით 25; მცხოვრებთა რიცხვი 200,000-მდეა, ტომით იტალიელი. შემოერთა ინგლისმა ეს გუნძელი საფრანგეთის დიდი რეკოლიუციის დროს და მალტელები დღემდის მისი პარტიის ცუდით იყვნენ გამსკვალენი და თითქმის ამყობდენ ვიდრე მის ქვეშევრდომობით. ასეც უნდა უოფილიყო, რადგანაც მალტელებს სრული თავისუფლება ჰქონდათ მინატებული შანურ მმართველ-გამგებაში. ხოლო დღეს ბურების სულთამსუთავმა კოლონიების მინისტრმა ჩემბერლენმა ერთის ვალმის მოსმით მოისურვა გამოეწია პატარა გუნძელისათვის ეს თავისუფლება. მან უბრძანა სასწავლებლებიდან განდევნონ მალტელების დედა ენა და მის ნაცვლათ შემოიღონ ინგლისური. ამას გარდა მალტელების დაუგითსავათ დაწესა ასალი გადასახადი. აი ამ განკარგულებამ ადელავა და ააშოოთა დღეს რამდენიმე თვის წინეთ წუნარი და ინგლისის მოყვარული გუნძელი. მათ ერთსმეოვ გაჭვიცნეს ზემოსხენებული განკარგულებანი. მალტის კომიტეტი შედეგი პასუხი გავზავნა ინგლისში: «ჩვენ, სწე-



რენ მალტელები, ჰატარა და უიარაღო ერი ვართო, მაგრამ თქვენ უნდა იცოდეთ, რომ ჩვენ უფრო სიკვდილს ვაჩქეოთ, ვიდრე მონობას. ჩემებლენმა ჩვენ სედმეტი სარკი შეგვანერა, ადგამდა ჩვენი ენა სასწავლებლებში, მაგრამ იცოდეთ, რომ თუ დონე და მალა თქვენგანა, ჩვენგან არის სიმართლე». კომიტეტმა მიმართა აგრეთვე მცხოვრებლებს და უჩვენეს: «იყავით ერთგულნი თქვენის სამშობლოსი და შეიღწი თქვენნი იამაყებენ თქვენითო». გასეთებში კვითსულობით, რომ მალტელებს უკვე რამდენიმე დემონსტრაცია მოუხდენიათ ინგლისის წინააღმდეგ: ჩამოუგლეკიათ ინგლისის ბაიარა და დედოფალ ვიქტორიას ქანდაკისათვის მიუძღურებიათ ცსვარი. რასაკვირველია აქ მალტენე მებრძოლთა შორის უთანასწორობა, მაგრამ ინგლისი ერთსულ კიდევ დაინახეს რა შეუძლია ჰატარა თავისუფალ ერს, რადგან მას უსწობენ თავისუფლებას.

**იტალია.** ცსენის რენის გზის მოსამსახურეთა გაფიცვა რომში გათავდა. ცსენის რენის გზის სასოგადობამ რამდენიმე მოთხოვნა დააკმაყოფილა; ასევე ნაპოლშიც.

**ამერიკის შვედეთში შტაბები.** შეერთებული შტატების მთავრობას განზრახვა აქვს, მუდმივი სამედიკალინო სასამართლო დააწესოს; რაც ამერიკის ეკლესიებს ერთმანეთში და აგრეთვე ევროპის სასულწინაობის საქმეებს ექნებათ, ან უთანხმოება ჩამოუგარდებათ, — სულ ამ სასამართლომ უნდა გააჩნდოს. ამ სასამართლოს პროექტი აღბად ამერიკის ეკლესიის სასულწინაობის წარმომადგენლების კონგრესზე იქნება დამტკიცებული. ეს კონგრესი მომავალ ოქტომბერში ქალ. მექსიკაში უნდა მოხდეს.

— გაზ. Daily Mail-ის სიტყვით, ფოლადის მრეწველობის მუშათა გაფიცვა კანკის ქარხნებსაც მოეფა. ეს გაზარდა ამბავია თოელ ამ გაფიცვაში.

**ოსმალეთი.** საფრანგეთის ელჩი კონსტანს სსვა და სსვა საქმეების თაობაზე ვიდრე მოუწოდეს პორტას და სონთქარის თანხმობით ოსმალეთის გარეშე საქმეთა მინისტრმა შესაფერხი განკარგულება ვიდრე მოახდინა, თითონ სონთქარმაც ვი აღუთქვა კონსტანს, მორიგების ქალაქს სვალ გადმოგემენო, მაგრამ 6 აგვისტოს კონსტანსმა დეპუტატი გამოგზავნა ჰარისში, არც ერთი პირობა არ შესრულდეს. 9 აგვისტოს დელგასსემ დეპუტატი შეუთავდა კონსტანს: რადგან ოსმალეთის მთავრობა მოცემულ პირობას არ ასრულებს, საფრანგეთსაც აღარ ეკადრება მოლაპარაკების განგრძობა, შეტეობინეთ პორტას, რომ თქვენ ნაბმანები გაქვთ კონსტანტინუპოლიდან წამოხვიდეთო. 10 აგვისტოს კონსტანსმა დელგასსეს შემონათავალი გადასცა პორტას და გამოუცხადა, 13 აგვისტოს მიუღიარო. მაინც ამ დღისათვისაც არც ერთი პირობა არ შესრულდეს. კონსტანსი კონსტანტინუპოლიდან წამოვიდა.

**სამხრეთი აფრიკა.** ბურები ახლან უფრო წვრილწვრილ რანგებთან დაიქვეს, რადგან ამგვარათ უფრო ეადვილებათ მოძრაობა და საჭირო სერსათის შეზნა. როგორც წინსულ კვირის დეპუტებში კვითსულობით, რამდენიმე ჰატარა შეტაკებაში ინგლისელებს გაუძარჯენიათ, ტყვეთ წაუყვანიათ რამდენიმე ბური და სელთ ჩაუგდიათ სომარი იარაღი.

დეპუტები იტეობინებან, რომ პრეზიდენტ ვრიუკის უთქვამს, რომ სამხრეთ-აფრიკაში საქმეთა ვითარება სრულებით არ შეცვლილა, შეიცვალა მხოლოდ ინგლისის მთავრობის მოქმედება. ბურები ესლაც იმავე ტაკტიკით რმობენ, როგორც წინეთ. თუმცა ბურების რანგის მოავლდა, მაგრამ ჩვენ ესლაც

ასევე წესიერათ ვმოქმედობთ, როგორც ომის დაწყების დროს ბურების სარდლები ასევე წინანდებურათ წინამძღვარობენ მისებს და ბურების მთავრობაც წინანდებურათვე განსჯებს ბურების საქმესო.

**წითელი ჰასილი.**

მოხრობა მ. გორგისა.

დიდი ხანი არ არის მას, აქეთ რაც მდინარე ვოლგის ნაპირას მდებარე ქალაქის ერთ სამეფო სახლში მსახურებდა ერთი ორმოცი წლის კაცი, სახელათ ვასილი, რომელსაც მეტ სახელათ «წითელს» ეძახოდენ იმიტომ, რომ მას ჰქონდა მუქი ქერა თმა და განიერი უმი ხორცის ფერი სახე. ვასილს ჰქონდა ძალიან სქელი ტუჩები და მეტათ დიდი ყურები, რომელნიც მუდამ ყალყზე იდგენ იმის თვის ქალაზე. მისი თვალების მკაცრ გამომეტყველებას განცვიფრებაში მოჰყავდა ხალხი; ეს პატარა თვალები დაფარული ჰქონდა მას ქონით და, როგორც ყინულის ნატეხები, ისე გამოსტვივოდენ თვალის უბებებიდან; მიუხედავათ იმისა, რომ ვასილი მუდამ მაძლარი იყო და ჩანსუქბულიც, იმის სახეს ისეთი გამოხედულება ჰქონდა, თითქო არა ევამოს-რა და სასიკვილოთ დაშეშული ყოფილიყოს. ვასილი იყო ტანით დაბალი, ჩანსკლებული; იცვამდა ლურჯ ახალუხს, განიერ მაუდის შარვალს და მუდამ სარკესავით გაპრიანებულ წაღებს. მისი ქერა თმა სულ დახუბუქებული იყო და, როცა ქუდს დაიხურავდა, ხუჭუჭა თმა ქუდის გარშემო ზევით შემოეწყობოდა ქობას, და გეგონებოდა, რომ ვასილს წითელი გვირგვინი ადგია თავზეო.

„წითელს“ მას ამხანაგები ეძახოდენ; გოგოები კი «ჯალათს» უწოდებდენ, რადგანაც ძალიან უყვარდა მათი ტანჯვა-წვალება. ზემოთ მოხსენებულ ქალაქში იყო რამდენიმე უმაღლესი სასწავლებელი, ამიტომ ახალგაზრდობაც ბლომათ იყო, და, რასაკვარველია, სამეფო სახლებიც ბევრი ასე რომ ამგვარი სახლებით მთელი ქუჩა თვის ორლობებით სულ გაცსკებული იყო. ვასილს ყველანი იცნობდენ ამ ქუჩაში; მასი სახელი შიშის ზარს ცემდა «გოგოებს», და, როცა ისინი წაეხუბებოდენ რამეზე თვიანთ „ხაზიკებს“, უკანასკნელნი ასე დამეტყვებოდენ ხოლმე:

— ეი!.. თქვენ!.. ნუ გამომიყვანთ მოთმინებიდან, თორემ „წითელ ვასილს“ დავუშახებ და!.. ხშირათ ეს მუქარაც საკმარისი იყო, რომ გოგოები დამშვიდებულიყვენ და უარი ეთქვათ თვის, კანონიერ და სამართლიან მოთხოვნილების დაკმაყოფილებაზე, როგორც, მაგალითათ, საქმლის გაუმჯობესობა, სასიეროთ წასვლის უფლების მოპოვება და სხვა... თუ მუქარა არ იკმარებდა, მაშინ „ხაზიკა“ დაუშახებდა ვასილს.

ვასილიც მივიღოდა ხოლმე ნელის ნაბიჯით, თითქო საჩქარო არაფერი ჰქონდა, ჩიკეტებოდა «ხაზიკასთან» ოთანში და იქ მოისმენდა საჩივარს იმ გოგოებზე, რომელთაც დაწყნარება საჭირო იყო.

ჩუმათ მოისმენდა ვასილი საჩივარს და ეტყოდა: — ძალიან კარგი!.. და წავიდოდა გოგოებთან. გოგოები ყვითლდებოდენ და კანკლებდენ იმის დანახვაზე; ვასილი ამას ამჩნევდა და დიდ სიტკბოებას გრძნობდა მათი შიშით. გოგოები სამხარეულოში სადილობდენ ხოლმე.





და ეს სცენაც იქ ხდებოდა ხშირათ. ვასილი დიდხანს იდგა ხოლმე ჩუმად კარებთან და უყურებდა გოგოებს. ეს მისი სიჩუმე და უმოძრაობა მისგან მიყენებულ წვალვებზე ნაკლებ ტანჯვას არ აყენებდა მათ. შეხედავდა ვასილი გოგოებს და ჩახრინწული ცივი ხმით ეტყოდა:

— მაშო! მოდი აქ!..

— ბატონო ვასილი!—მუდარით ეტყოდა ხოლმე გოგო: ხელს ნუ მახლვს!.. ნუ მახლვს ხელს, თორემ თავს დაეხრჩობი!..

— მოდი, სულელო, თოკი მოქცე... გულცივათ, გაულიმებლათ ეტყოდა ვასილი.

ვასილი ყოველთვის ისე წაიყვანდა საქმეს, რომ დამნაშავენი თვითონ მივიდოდნენ მასთან.

— ყვირილს დაეწყებ... მინებს ჩაემატვრე ფანჯრებში... შიშისაგან გულგახეთქილი ჩამოუთვლიდა გოგო ყველაფერს, რის ქნაც-კი შეეძლო.

— დაამტვრიე მინები, და ნამტვრევებს მე შენ შეგაქმე—ეუბნება ვასილი.

რაც გინდა ჯიუტი ყოფილიყო გოგო, მაინც დამორჩილდებოდა ხოლმე, ესე იგი, თვითონ მივიდოდა ჯალათთან; თუ ამას არ იზამდა, ვასილი თვითონ მივიდოდა მასთან, წაავლებდა თმაში ხელს და დაახეთქებდა იატაკე.

გოგოს ამხანაგები და ხშირათ თანამოაზრენიც თვითონ შეუკრავდნენ ხელებს და ფეხებს და პირში რამეს ჩაუტენიდნენ, რომ ყვირილი არ დაეწყო და იქვე იატაკზე გააჭრელებდნენ დამნაშავეს მათრახით. თუ გოგო გამბედავი იყო და შეეძლო ჩივილი, მას სხვილი თასმის მათრახს სცემდნენ, რომ ტანზე კანი არ დახეოქოდა; ხან-დახან ტანზე სველ ტილოსაც შემოახვევდნენ, რომ სილურჯე არ დამჩნეოდა ნაცემ ადგილებზე. ხშირათ მათრახის მაგივრათ ხმარობდნენ გრძელ და წვრილ ლამით გატენილ ტილოს პარკებს. ამნაირი პარკებით ცემა ღუნდულებზე საშინელ ყრუ ტკივილებს აგრძობინებს ადამიანს, ტკივილი დიდ ხანს არ გაივლის და ტანზე კი ნიშნებს არ უტოვებს ხოლმე. სასჯელის სიმკაცრე ხშირათ დამნაშავეს ხასიათზე არ იყო დამოკიდებული: ეს იყო დამოკიდებული მასზე, თუ როგორ უყურებდა ვასილი დამნაშავეს და ან რა დანაშაული ჩაედინა გოგოს. ხანდახან ვასილი გამბედავ გოგოებსაც ისე ცემდა, რომ არაფერ ზომებს არ მიიღებდნენ ნიშნების დასამალავათ. მას ყოველთვის ედო შარვლის ჯიბეში სამკუდა მათრახი; ამ მათრახს ჰქონდა მუხის მოკლე ტარი, სულ გაპრიადებული ხშირი ხმარებისაგან. ამ მათრახის თასმებში მოხერხებულათ იყო ჩაქსოვილი მართული, რომლისგანაც ბოლოზე ფოჩი იყო გაკეთებული. პირველ დარტყმისთანავე ტანზე კანი ძელადის გასკდებოდა ხოლმე და, რომ უფრო გაემწვავებინა ტკივილი, ხშირათ გახეთქილ ხორცზე დააკრავდნენ «გარჩიცას», ან მლაშე წყალში დასველებულ ჩერებს. როცა გოგოებს სჯიდა ვასილი, არასოდეს არ გაჯაურდებოდა ხოლმე, ყოველთვის ერთნაირათ ჩაუმათ იყო და გულცივათ.

მისი თვალები არასოდეს არ ჰკარგავდნენ გაუმაძღრულ გამომეტყველებას, მხოლოდ ხანდახან მოიხუტებოდნენ ხოლმე და მაშინ უფრო მკაცრათ გამოიყურებოდნენ.

ვასილისგან მიყენებული ტანჯვა-წვალვებანი ძალიან სხვა და სხვანაირი იყვნენ; მისი გამჭირაზობა ამ საქმეში არტისტულ მოქმედებას მოგაგონებდათ.

მაგალითათ: ერთ სამეძაო სახლში გოგოს, ვერა კოპტევისას, „სტუმარმა“ ხუთასი თუმნის შოპარვა შესწამა. ეს „სტუმარი“ ციბირელი ვაჭარი იყო; მან გამოუტხადა პოლიციას, რომ ის იყო ვერას ოთახში; იქ იჯდა მათთან ერთ საათს ვერას ამხანაგი სარა შერმანისა. «მე ვერასთან დაერწი მთელი ღამე და დილას ძალზე მთვრალი წამოვედი იქიდან!»—დაუქატა ვაჭარმა.

საქმეს კანონიერი მსვლელობა მისცეს; დიდ ხანს გაგრძელდა გამოძიება; გამოძიების გათავებამდე ორივე გოგოები დაჭვრილები იყვნენ; როცა გაასამართლეს, აღმოჩნდა, რომ დანაშაული ვერ მტკიცდება, და გოგოები გაათავისუფლეს. როცა შინ დაბრუნდნენ, «ხაზაიკამ» ისინი ისევე დამნაშავეებათ იცნო. იგი დარწმუნებული იყო, რომ ფული იმათ მოიპარეს და უნდოდა თავის ხვედრი მიეღო. სარამ დაუშტყცა „ხაზაიკას“, რომ მას არავითარი კავშირი არა აქვს ამ ქურდობასთან. მაშინ «ხაზაიკამ» ხელი მიჰყო ვერა კოპტევისას. ვერა ჩაჰკეტა მან გაცხელებულ აბანოში და აჭმევდა მუდამ მლაშე ხიზილალას, მაგრამ, მიუხედავად ამისა და ბევრი სხვა სატანჯველისა, გოგო არ გამოტყდა და არ თქვა, თუ სად დამალა მოპარული ფული. და აი, ერთხელ ღამით, იმ აბანოში, სადაც ვერა იყო დამწყვდეული და შიმშილის-წყურვილისაგან და შიშისაგან იტანჯებოდა, გამოეცხადა ეშმაკი. ის იყო შემოსილი შავი გაწეწილი თმით; თმებიდან აჩოსდიოდა გოგირდის სუნი და მტრედის ფერა კვამლი. თვალების მაგივრათ უჩანდნენ ორი ცეცხლის მზგავსი ნაპერწკლები. ის დადგა გოგოს წინ და საშიშარი ხმით ჰკითხა:

— სად შეინახე ფულები?...

საწყალი ვერა შიშისაგან ჰკუთხე შეიშალა. ეს მობდა ზამთარში. მეორე დილას პერანგის ამარა ფეხშიშველა გოგო ღრმა თოვლში მოჰყავდათ სახლში; ის წყნრათ იცინოდა და მხიარული ხმით ამბობდა:

— ხვალ მე და დედა ჩემი წაველთ წირვაზე... ისევე წაველთ... ისევე წაველთ წირვაზე...

როდესაც სარა შერმანმა შეჰხედა მას, დახეულათ, ყველას თანდასწრებით გამოაცხადა:

— ფულები ხომ მე მოვიპარე!..

ძნელი სათქმელია რას უფრო გრძობდნენ გოგოები ვასილისადმი—შიშს, თუ მძულვარებას. ყველა მათგანი ელაქუტებოდა და ეფარისველებოდა მას; თვითელი მათგანი ცდილობდა მის საყვარლათ განდომას და ამასთანავე ყველანი ეხვეწებოდნენ თავიანთ გულითად მეგობრებს, ნაცნობებს და „სტუმრებს“ ეცემათ ვასილისათვის. მაგრამ ვასილი ძალიან ღონიერი იყო, არც ისე თვრებოდა, რომ დაუძლურებულიყო სიმთვრალის დროს, და ამიტომ მისი მორევა ძნელი იყო. არა ერთხელ ჩაუყარეს მას გოგოებმა საქმელ-სასმელში საწამლავი; ერთხელ კინალამ საწადელსაც მიალწიეს, მაგრამ ვასილი მორჩა. ის როგორღაც ტყობილობდა, რასაც მის წინააღმდეგ ჩადიდნენ, მაგრამ არ ეტყობოდა, რომ მისი ასეთ საშიშარ მდგომარეობაში ყოფნა აორკვევდა თუ ამცირებდა მის ცივ სიმკაცრეს გოგოებისადმი. ამისთანა შემთხვევაში ჩვეულებრივ უგრძობლათ იტყოდა ხოლმე:

— ვიცი, რომ თქვენ კბილებით დასაგლეჯათ არ დამზოგავთ, თუ შემთხვევა მოგეცათ, მაგრამ ტყვილა მიბლევრით: ვერაფერს ვერ მიზამთ...

იტყოდა ამას ვასილი, გახსნიდა თავის სქელ ტუჩებს





და პირდაპირ შეაფრუტუნებდა მათ სახეში—ალბათ დას-  
ცინოდა მათ საქციელს...

ვასილს ჰქონდა ნაცნობობა პოლიციის მოხელეებ-  
თან, თავის გვარ კაცებთან და ჯაშუშებთან, რომელნიც  
ყოველთვის ბლომათ არის ყოველ სამეძაო სახლში. მაგ-  
რამ მეგობრები ვასილს არც იმათში ყავდა: არც ერთი  
თავის ნაცნობთაგანის ნახვა არ მოუწოდებოდა მას სხვაზე  
ხშირათ, ყველას ერთნაირათ, თანასწორათ და სრულიად  
უგულოთ ექცეოდა. ამ ხალხთან ის სუამდა ხოლმე ღუდს  
და უაზობდა მათ იმ შემხვევებზე, რომლებიც უბანში  
ხდებოდა.

თეთრან არსად არ დადიოდა, თუ «საქმისათვის» არ  
დაუძახებდნენ სადმე. მისი «საქმე» იყო გაროზგეა ან «და-  
ტუქსეა» ვინმე გოგოსი. ის სახლი, რომელშიაც ვასილი  
მსახურებდა, იყო საშვალო შეძლების ხალხისათვის: „სტუ-  
მრებისაგან“ შესვლის ქარას სამ მანეთს ღებულობდნენ და  
მთელი ღამით კი ხუთ მანეთს... «ხაზიკა», თეკლე ერმი-  
ლეს ასული, უშნოთ ჩასქელებული, ორმოცდაათი წლის  
დედაკაცი, იყო სულიერი და ბოროტი; მას თითონაც  
ემინოდა ვასილის, მაგრამ ძვირათ უღირდა და ამიტომ  
აქლევდა მზა ბინით და საქველ-სასხელით თვეში თუთხმეტ  
მანეთს. იმის სახლში, ვასილის გამოისობით, ყოველთვის  
სამაგალითო „წესი“ სუფევდა გოგოებში. სულ თერთმე-  
ტი გოგო ყავდა და ყველა ისეთი წყნარები იყვნენ, რო-  
გორც ცხვრები. როცა კარგ გუნებაზე იყო თეკლე, ხში-  
რათ ტრახახობდა „სტუმრებთან“ თავის გოგოებით, რო-  
გორც კარგი ძროხებით და ღორებით ტრახახობდნენ ხო-  
ლმე.

— მე პირველი ხარისხის საქონელი მყავს... ამბო-  
ბდა აწყურა ღიმილით კმაყოფილი თეკლე.—გოგოები  
ყველა ქორფები არიან... ჩასუქებულები... ლაზათიანები...  
ყველაზე უმფროსი მხოლოდ ოცდა ექვსი წლის არის...  
ის, მართალია, მუსაიუში არ არის საინტერესო, მაგრამ,  
სამაგეროთ, რა სხეული აქვს!...

— თქვენ შეხედეთ ერთი, ბატონო!.. გოგო კი არა,  
საკვირველება არის!.. რა ტანი აქვს!.. აბა მოდი აქეთ,  
ქსინა!..

ქსინაც მივადოდა ნელი ნაბიჯით და დადგებოდა  
„სტუმრის“ წინ; სტუმარი დაკვირვებით აათვალიერ-ჩაა-  
თვალიერებდა და ყოველთვის კმაყოფილი დარჩებოდა მი-  
სი ტანით...

ეს იყო შუა ტანის, ჩასქელებული და ისეთი მკერი-  
ვი, რომ რკინისაგან გამოჰყვდილი გვეკონებოდა; მკერდი  
ჰქონდა განიერი და მაღალი, სახე მრგვალი, პირი პატარა  
და ტუჩები მუქი წითელი. მისი უსიცოცხლო და არაფრის  
გამომეტყველი თვალები მოგაგონებდნენ ორ ბრჭყვიალა  
ძივს ტიკინის თავზე, თვალების მაგიერათ ჩასმხულს; მო-  
კლე ცხვირი და წარბებ ზევით დახვეული თმაც ამთავრე-  
ბდნენ მის ტიკინთან მზგავსებას. ამის გამო ხშირათ უბრა-  
ლო სურვილების მქონე „სტუმრებსაც“ ეკარგებოდათ მა-  
სთან ლაპარაკის ნდომა. საერთოთ ქსინას «სტუმრები»  
ჩვეულებრივ ეტყოდნენ ხოლმე:

— წავიდეთ!...

და ისიც მიდიოდა თავის მძიმე ნაბიჯით, უაზროთ  
მოლიმარი; თვალებს ხან მარჯვნივ გადაატრიალებდა და  
ხან მარცხნივ; ეს მას «ხაზიკამ» ასწავლა და სამეძაო სა-  
ხლებში ამგვარ თვალების ტრიალს «სტუმრის მოხიბლას»

ეძახოდნენ ხოლმე. ქსინას თვალები ისე შეეჩვივნენ ამ მძიმე  
ძრაობას, რომ, ზალაში შესვლისთანავე იწყობდა ხოლმე  
„სტუმრის მოხიბლას“, თუც იქ არავინ არ იყო იმ  
დროს. ამნაირათ გადადიოდ-გადმოდიოდნენ მისი თვალები  
იქით-აქეთ მუდამ, სანამ ის ზალაში იყო; მარტო იყო,  
ამხანაგებთან იყო, თუ სტუმრებთან—მისთვის სულ ერთი  
იყო: თვალებს მინც ატრიალებდა „სტუმრების მოსახიბ-  
ლავათ“. ამ გოგოს ერთი უცნაური თვისება კიდევ სხვაც  
ჰქონდა: თავის გრძელ ქერა თმის ნაწნავს შემოიხვევდა  
კისერზე და ნაწნავის ბოლო მუდამ მარცხენა ხელში ეჭი-  
რა, თითქო სახზობელას ატარებს თავის კისერზე. თავის  
თავზე მას შეეძლო ეამბნა, რომ ის არის აქსინა კალუ-  
გინისა, რიანანის გუბერნიიდან; ამბობდა, რომ არის „გა-  
უთხოვარი“, „შესცდა“ ერთხელ თედოსთან, ეყოლა შვი-  
ლი და მოგდა ამ ქალაქში ერთი აქციზის მოხელის ოჯა-  
ხობასთან ერთათ, სადაც ის ძაძათ იყო, მერე, როცა ამ  
მოხელეს მოუკვდა შვილი, დაითხოვეს ბინიდან და ამის  
შემდეგ ის «დაიქირავეს» აქ, ამ სახლში. აგერ ოთხი წე-  
ლიწადა რაც ის აქ სცხოვრობს.

ს. რობაქიძე.

(შემდეგი იქნება)

### რ ა თ მ ი ნ დ ა !

რათ მინდა გული მარათ ტანჯული,  
შხამ და ნაღველის ბუდეთ ქცეული,  
რათ მინდა სული აღშფოთებული,  
მოუსვენარი, გამწარებული!  
რათ მინდა მქონდეს წრფელი სიმართლე,  
კაცობრიული პატიოსნება,  
თუ ამის მეტათ ბნელში სინათლე  
არ მომესწრება, არ მეღირსება?!  
მიჯობს, აღრევე მწარე სიკვდილმა  
ქვეყნის უმადურს მომიღოს ბოლო,  
მარად მტირალი მართალთ გზას მიმცეს  
და განმაშოროს სოფელს საბრალო.  
მშობლიურ გრძობით მივეგებები  
სიცოცხლის შემწყვეტ შავ-ბნელ სამარეს  
და გულ-უშიშრათ ჩავსვენებები,  
ოღონდ გავშორდე სიცოცხლეს მწარეს!  
დეე, სამარის ქიამ დაგლიჯოს  
ჯერ ახალგაზდა ეს ჩემი გული,  
ის მირჩვენია, ვიდრე ცოცხალი  
ვიყო მიწასთან გასწორებული!..

ღარია ხუნდაძისა,

X

### რუსული ჰოესიის უძთაურესი მომენტები მე-XIX საუკუნეში.

(შემდეგი. — იხ. № 33).

ჩამომავლობითა და აღზრდით წინა წერილში გან-  
ხილული ბელეტრისტების ჯგუფს ეკუთვნის პომილო-  
ვსკი რომლის უდროოთ გარდაცვალებამ რუსეთის პოე-  
ზიას დიდი ზიანი მოუტანა (1835—1863). ბელეტრის-  
ტისა და პედაგოგის ნიქი ამ კაცში ორივე ერთათ იყო  
შეზავებული. პომილოვსკის კარგათ ესმოდა, რომ ბა-  
ტონყმობა მარტო ყმის არსებობაში კი არ იხატებოდა,  
არამედ ის იყო საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარე-





ბის მთელი დიდი ეპოქა და მისი დაღი ამ ცხოვრების ყოველგვარ სფერას აჩნდა. მაშინ, როდესაც ბევრს ბრმათ წამდა ცხოვრების ერთბაშით აყვავება გლეხის განთავისუფლების საშუალებით, პომიალოვსკი დარწმუნებული იყო, რომ ერთის ხელის მოსმით, ერთის ბრძანებით მთელი საუკუნოების ნამოქმედარი არ მოისპობოდა; შესანიშნავმა მანიფესტმა მოსპო ბატონყმობის გარეგანი მხარე, მაგრამ მისი შინაგანი, არსებითი მხარე კი უცვლელი დარჩა და მასთან იყო საჭირო ბრძოლა. ერთი ამ გვარ მებრძოლთაგანი თვით პომიალოვსკი იყო. მესამოცე წლებში რუსეთის პროგრესის ერთი დიდი მტერი სასწავლებლები იყვნენ. მთელი მაშინდელი სისტემა სწავლავანათლებლისა და ზნეობრივი აღზრდისა დაბალსა და საშუალო სასწავლებლებში ბატონყმურ ნიადაგზე იყვნენ აღმოცენებული. თითქოს განგებ იყო ყოველგვარი ზომა მიღებული, რომ ყმაწვილის გონება განვითარების მაგიერ სრულებით გამოლაყვებულყო, მისი ზნეობა ამაღლებისა და გაფაქიზების მაგიერ სრულებით დაცემულიყო. და აი იმ დროს, როდესაც სასწავლებლების ასეთ უკუღმართ მიმართულებას ყურადღებას არაფერ აქცევს, იბეჭდება პომიალოვსკის „Очерки бурсы“, რომელმაც ერთბაშით თვალები აუხილა განათლებულ საზოგადოებას. ამ თხზულებაში რეალიზმი და სასწავლებლის ცხოვრებაში ნახული და თავის თავზე გამოცდილ მოვლენათა მიუდგომლათ, ობიექტიურათ ხატვა თავიდან ბოლომდე უნაკლოლოთ არის დაცული. ერთსა და იმავე დროს ეს თხზულება ობიექტიური ამბავიც არის და შეუბრალებელი კრიტიკაც იმ სხოლასტიური სისტემისა და აღზრდის მხეცური ზომებისა, რომლებზედაც დამყარებული იყვნენ მაშინდელი სასწავლებლები. როდესაც შეადარებთ ერთმანერს რუსეთის სიტყვა-კაზხულ ლიტერატურას მესამოცე წლებამდე და იმის შემდეგაც, ერთი გარემოება იქცევს ყველაზე უფრო თქვენს ყურადღებას: მაშინ, როდესაც რეფორმებამდე ლიტერატურა იძლევა სხვა-და-სხვა ტიპების მთელ გალღერეიას, რეფორმების შემდეგ ასეთ ტიპებს ვეღარ ხედავთ რუსეთის პოეზიაში; მართალია სალტიკოვისა და ოსტროვსკის თხზულებებში ტიპები კიდევ ბლომათ არიან, მაგრამ ვერც ერთ ამ ტიპებში ვერ იპოვით ერთ მიმზიდველ თვისებას, ყველა უზნეობის ბუდეს წარმოადგენს. რეფორმებმა დაბალი ხალხი საზოგადო ცხოვრების სარბიელზე გამოიყვანა, გაჩნდა ახალი დროის ინტელიგენცია, მაგრამ მის დასურათებას ძალიან ცოტამ მოკიდა ხელი და, ვინც მოკიდა, იმანაც ვერ დაასურათა, რისი საუკეთესო მაგალითიც ტურგენევის ბაზაროვია, რომელმაც სამუდამოთ ჩატება ხიდი ტურგენევისა და ახალთაობას შუა. ცხოვრების ამ მხარეს პომიალოვსკიმ ყველაზე ადრე მიაქცია ყურადღება და ყველაზე უფრო მიუდგომლათა და რეალურათ მან დახატა ახალი დროის, ხალხის გულიდან ნაშობი ინტელიგენცია «Мещанское счастье»-ში და «Молотовъ»-ში.

ვინ არის მოლოტოვი? ეს იგივე რემოტნიკოვია, იგივე ლევიტოვი, გლ. უსაენსკი და თვით პომიალოვსკი, მხოლოდ ერთის განსხვავებით: ის მათსავით ებრძვის ცხოვრების სასტიკ პირობებს, მათსავით იცავს თავის პიროვნებას და ადამიანურ ღირსებას, მაგრამ მამების მიზანი ხალხის ამაღლებისათვის თავის განწირვა და საზოგადო ინტერესთა განხორციელებაში საკუთარი ბედნიერების

უარყოფა მოლოტოვს „მეშხანურ“ ბედნიერებაზე გაუცვლია. ასეთი მოლოტოვი, მიუხედავთ მისი ხასიათის ბევრი ღირსებისა, პომიალოვსკის არ აკმაყოფილებდა, ისე, როგორც არ აკმაყოფილებდა მას საზოგადოთ რუსეთის მთელი ცხოვრება. ამ ცხოვრების ყოველმხრივ დახატვა და სუდთან ერთათ კარგის აღნიშვნა განზრახული ჰქონდა პომიალოვსკის, მაგრამ სიკვდილმა ალარ დააცალა.

ამგვართ ერთათ ერთი თემა ყველა იმ მწერლებრსა, რომლებიც ხალხიდან გამოვიდნენ, თვით ხალხია. მათ ყურადღებას იქცევს სოფლის გლეხი და განსაკუთრებით ის ეკონომიური განწყობილებანი, რომლებშიაც ეს გლეხი ცხოვრობს, საზოგადოებრივი ცხოვრება, რომლებშიაც ისინი ტრიალებენ, მათ სრულებით არ აკმაყოფილებს. მათ სწყურიათ წინ წასწიონ ცხოვრება, ქონებრივათ ამაღლონ რაიმე საშუალებით გლეხი, რომ ამით მტკიცე საფუძველი დაუდვან მის განებრივათ ამაღლებას.— უნდა მივეშველოთ, უნდა დავებმაროთ გლეხს,—ყველანი ერთმანთ იმეორებენ, მაგრამ რა ღონით შეძლონ ეს დახმარება, როგორ გამოიყვანონ გლეხი ქონებრივი და გონებრივი დაქვეითებიდან, ეს არც ერთმა არ იცის და მათი ტრაგეზიში ამაში მდგომარეობს. ამ ტრაგიზმმა იმსხვერპლა თითქმის ყველა მწერლები, რომლებიც ხალხიდან გამოვიდნენ.

არაჩვეულებრივი ბუნება იყო ამისთანა დროს, რომ ზნემაღალი მწერალი არ დაღუპულიყო, და ასეთი ბუნების იყვენ სწორეთ სალტიკოვი, ანუ შიგდრინი და ოსტროვსკი. თუ ამათ არ ეწიათ ზემოთ განხილული მწერლების ხვედრი, ამის მიზეზი ის იყო, რომ ესენი ერთის მხრით გლეხობის წრიდან არ გამოსულან, მეორე მხრით იმ დროს დაიბადნენ და აღიზარდნენ, როდესაც გლეხი ჯერ ისევე ყმა იყო და მისი სვე-ბედი გარდა იმისა სხვას არავის უშუაოთებდა გულს. მწერლობაში ძვირათ ნახავთ ადამიანს, რომელსაც ისე გარკვეული იდეალი ჰქონდეს და ისე ნათლათ, შეუჩერებლათ და დაუღალავათ მიდევდეს თავის იდეალს, როგორც სალტიკოვი (1826—1889). რუსული პოეზია უმთავრესათ პუბლიცისტური იყო და არის, მაგრამ პუბლიცისტურმა მიმართულებამ სალტიკოვის მოთხრობებში უმაღლეს მწვერვალს მიაღწია. ერთის მხრით წინა წერალში აღნიშნული ბელეტრისტები პომიალოვსკითურთ და მეორე მხრით სალტიკოვი და ოსტროვსკი ერთმანერთის დამატება არიან, ერთი სრული არსების ნახევარ-ნახევარს წარმოადგენენ: პირველთა მიზანია რუსეთის ცხოვრების ეკონომიური პირობების დახატვა, მეორეებისა კი იმ სულიერი ავლადიდების, რომელიც ამ ეკონომიურ ნიადაგზე აღმოცენებულია. სალტიკოვის დროს ამ სულიერ ავლადიდებაში საძაგელი და საზიზლარი ელემენტები გაცილებით მეტი იყო, ვიდრე კარგი, მეორეს მხრით სალტიკოვის ნიქი უფრო მამხილებელი იყო, მესამეთ—სალტიკოვი დარწმუნებული იყო, რომ უწინარეს ყოვლისა საჭირო იყო საზოგადოების ზნეობრივათ მომზადება, უამისოთ რაიმე წინმსვლელობა ყოველად შეუძლებელი იყო, ამიტომ ლიტერატურულ ასპარეზზე ის მათრახით გამოვიდა და მათრახითვე მოკვდა ხელში; ამგვართ სალტიკოვი ხორცშესხმული მხილებაა რუსეთის საზოგადოების სინიდისისა. „საზოგადო საქმის სამსახურისათვის ბევრი გზა არის, მაგრამ ბოროტების,



სიკრუსა და მანკიერების გადმოშლა, მკონი, უსარგებლო არ უნდა იყოს“, ასე აბოლოვებს სალტიკოვი თავის თხზულებათა პირველი ტომის შესავალს. სალტიკოვი გაფაციცებით ადევნებდა თვალყურს რუსეთის ცხოვრების წინსვლელობას; მას შეუმჩნეველი არა რჩებოდა არავითარი ახალი მოვლენა, რასაც ამტკიცებს მისი საუცხოვო დახასიათებანი, მაგრამ მის უმთავრეს ყურადღებას საზოგადოების ზნეობრივი მდგომარეობა იზიდავდა. რეფორმების ხანა სალტიკოვის მოღვაწეობას ორ ნაწილად ჰყოფს. პირველ ნაწილში მისი ლიტერატურული მოღვაწეობის მიზანია საზოგადოებას დაანახოს ყველა ის უსამართლობანი და ზნეობრივი გახრწნილება, რომელთა მსხვერპლათ საბრალო გლეხობა არის. სალტიკოვს განსაკუთრებით ნიშანში ჰყავს ამოღებული ბიუროკრატია, რომლის ფსიხოლოგია და ზნეობრივი სილატაკე საშავალითოთა აქვს შესწავლილი, ამის ერთი მიზეზი ისიც არის რომ სალტიკოვი დიდხანს იყო სამსახურში და საშუალება ჰქონდა, მოხელეთა წრე კარგათ შეესწავლა. მისი ყოველი აღწერა ამ დროს განმავლობაში წარმოადგენს შეუბრალებელ სატირას, რომელსაც სალტიკოვი მხოლოდ მაშინ ივიწყებს, როდესაც თვით ყმას ეხება. სალტიკოვის მთელ ნაწერებში ნათლათ გამოსჭევს, რომ ის თითქოს დანაშაულათ გრძნობს თავის თავს გლეხობის წინაშე; მას ერცხვინება თავისი თავისა და მთელი აზნაურთა წოდების, როდესაც ის გლეხს უყურებს, ის მზათ არის გლეხის წინაშე თავისი წოდებრივი ცოდვა შეინანიოს, მაგრამ სალტიკოვის ტრაგიზმი იმაში მდგომარეობს, რომ მას ამ ცოდვის მონანიება შეუძლებლათ მიაჩნია მისი სიმძიმისა გამო. თუ მის პირველ ნაწერებში ეს ტრაგიზმი არა ჩანს, ბოლო დროის ნაწერებში ის აშკარათ არის გატარებული. ბატონყმობა გადავარდა, მაგრამ მას თან გაყვა ძველი უზნეობანი? სრულებითაც არა: გლუპოვი ისევ გლუპოვათ დარჩა იმ განსხვავებით, რომ წინეთ სულ ეძინა, ახლა კი მხოლოდ ყვირის, საქმით კი არას აკეთებს და არც შეუძლია კეთება: მისი საქმე მხოლოდ მყვირალი ბაქიობაა. რეფორმების შემდეგ აზნაურობა არა თუ არ ამაღლდა, უფრო დაეცა. ბატონყმობის აზნაურობის მთელი ცხოვრება სალტიკოვს ოთხ სიტყვაში აქვს გამოხატული: *buvons, chantons, dansons et aimons* (ვუვათ, ვიმღეროთ, ვიცეკვოთ და სიყვარულს მივსდიოთ). ბატონყმობის გადავარდნის შემდეგაც აზნაურობის იდეალი იგივე პირუტყვეული ცხოვრებაა, მაგრამ გაკოტრება მას ნებას არ აძლევს წინანდულათ დაეწაფოს პირუტყვეული ცხოვრების მორევს და მხოლოდ ამაში მდგომარეობს მისი სევდიანობის მიზეზი. მოხელეები იგივე მოლჩალინები არიან, როგორც წინეთ იყვენ; მათი ერთათ ერთი მიზანია საკუთარი ბედნიერება ააგონ გაქელილ პიროვნებაზე და პირჩამომტვრეულ პატიოსნებასა და სინილისიერებაზე. საზოგადოების კულტურული ნაწილი უმეტესათ კუჭის მრწამსს აღიარებს და სხვა არაფერი აინტერესებს; საზოგადო ინტერესები კი არავის არ იზიდავენ, იდეალური მისწრაფებანი არავის არ აღვლევს. უფროსები ბრძანებენ, უნცროსები ასრულებენ, — ბრძანების ასრულების მეტს საზოგადო ცხოვრებაში სალტიკოვი ვერაფერს ჰხედავს. გვიბრძანებენ, — რუსეთს ხვალვე მოეფინება სკოლები და უნივერსიტეტები; გვიბრძანებენ და — განათლება შკოლების მაგიერ

პოლიციის სამმართველოებში მოთავსდება“, წერს ეს „ტაშკენტი“-ს წინასიტყვაობაში. სალტიკოვის ყოველგვარი უსაქმურობა იგივე ცოდვაა, რადგანაც „ბედნიერება ციდან არ ვარდება“, ადამიანი თვითონ აშენებს თავის საკუთარ ბედნიერებას და ამგვარ შენებაში ვინც აქტიურ მონაწილეობას არ იღებს, ის მხოლოდ ზიზლის ღირსია სალტიკოვის აზრით და ამაში მდგომარეობს იმ საშინელი სატირის მიზეზი, რომლითაც სალტიკოვი რუსეთის მთელ ინტელიგენციას სდევნის.

სალტიკოვის ბასრი ენა რუსეთის საზოგადოების ყოველ წრეს, ყოველგვარ ნაკლულევანებას მოხვდა უზნეობას და უსამართლობას, სადაც უნდა დაენახა, ყველგან სდევნიდა.

„Finis Monrepe“-ში სალტიკოვმა აღნიშნა სოფლის წვრილი ბურჟუაზიის გაჩენა და გამოაცხადა: ასეთი ბურჟუაზიის ელემენტები უკვე ბატონყმობის დროს არსებობდნენ; ეგორკაში მან საუცხოვოთ დახატა ყოველი დროისა და ყოველი ადგილის ჩარჩი, მაგრამ საერთოთ ამგვარი ახალი მოვლენის მნიშვნელობა სალტიკოვმა ისე კარგათ ვერ შეიგნო და ვერ დააფასა, როგორც გ. უსპენსკიმ. სიბერემდის სალტიკოვი იყო იმდენათ ფაქიზი და ნაზი ზნეობის, რომ მას შეუმჩნეველი არ რჩებოდა არავითარი ნაკლულევანება საზოგადოებრივი ცხოვრებისა. სიბერემდის მას ღრმათ რწამდა, რომ ადამიანს შეეძლო სულიერათ ამაღლება და ამიტომ ის ყოველგვარი უმოძრაობისა და უმოქმედობის მტერი იყო, მთელი თავისი არსებით მიისწრაფოდა წინ და იქითკენ ეწეოდა რუსეთის საზოგადოებასაც.

საზოგადოების ზნეობრივათ ამაღლებას ემსახურებოდა ოსტროვსკიც, რომელიც რუსეთის დრამატულ მწერლობაში ბრწყინვალე ვარსკვლავს წარმოადგენს (1823—1886). ნიქის მიმართულებით და იმ მიხებით, რომელსაც ის ემსახურებოდა, ოსტროვსკი სალტიკოვს ჰგავდა, ხოლო მოკლეიული იყო უკახასკენლის სატირულ ნიქს; სალტიკოვის სარკაზმსა და გულის მოძწყვეტ დაცინვას მკითხველი ვერა ნახავს ოსტროვსკის პიესებში. მაგრამ ოსტროვსკიმ დააყენა რუსული თეატრი ეროვნულ ნიადაგზე, განაძტიკა ეს ნიადაგი და პირველმა მან გადააქცია რუსული თეატრი საზოგადოების უტყუარ სარკეთ და ზნეობის სკოლათ. მესამოცე წლები ოსტროვსკის ლიტერატურულ მოღვაწეობასაც ორ ხანათ ჰყოფენ. პირველ ხანაში ის მკირეოდნათ გატაცებული იყო სლავიანოფილთა მოძღვრებით და ამიტომ ამ ხანის ზოგი პიესები ტენდენციოზურია; მეორე ხანაში კი ის უნაკლულო რეალისტია, ოსტროვსკი მტერი იყო დამყაყებული ცხოვრებისა და რწმენა შეხედულების; პირველ პიესაშივე მან ბრძოლა გამოუცხადა რუსეთის საზოგადოების „самодурство“-ს და ეს ბრძოლა ბოლომდე არ შეუწყვეტია; რადგანაც ის ნაკლულევანებანი, რომელთაც ის ებრძოდა, უმთავრესათ აზნაურთა და ვაჭართა წოდებაში იყო დაბუდებული, ამიტომ ოსტროვსკის პიესების ასპარეზი ეს ორი წოდებაა. ამ წოდებათა იარები და უზნეობა ოსტროვსკიმ იმდენათ ძლიერათ დახატა, რომ მისი ზოგიერთი პიესები დღესაც კი ურიცხვ მაყურებელს იზიდავს ხოლმე. ვაჭრული წოდების უზნეობის სათავეს ოსტროვსკი ხედავს ფულში, აზნაურობისას — ბატონყმურ წყობილებაში. ყველა ის პირნი რომ-





ლებიც გამოყავს ოსტროვსკის ამ წოდებიდან, მოკლებული არიან საკუთარ აზროვნებას, საკუთარ შეხედულებას ადამიანის ღირსებასა, და ზნეობაზე. ვაჰარს ტიტ ტიტის ბრუსკოვს ჰგონია, თუ მას თვით სინიდისის ყიდვაც კი შეუძლია, რადგანაც მას ფული აქვს, მას ყველა უნდა ემორჩილებოდეს, ყველა მის ნებას უნდა ასრულებდეს, რადგანაც ის ფულის პატრონია; იმის ყოველ შეხედულებაში, ყოველგვარ ზნეობრივ პრინციპში ფული, ფული და მხოლოდ ფული გამოსჭევს. კაბანოვა, რომელიც სალტიკოვის იგივე არიან პეტროვნა გოლოვლიოვა არის, კანონიერი შვილია ბატონყმური წყობილების. ის მონაა ყველა იმ რწმენა-შეხედულების, რომლებიც ბატონყმობას წარმოუშობავს, და ცდილობს, რომ ხევებიც მასავით მონათ გაუხადონ ჟამგადასულ შეხედულებათ; მის თვალში ზნეობრივია ის, რასაც ძველი ცხოვრება აღიარებს ზნეობრივად, უზნეოა ის, რაც ძველ ცხოვრებას უზნეოდ მიიჩნია. თავის პიესებში ოსტროვსკი ვრცლად შეეხორჩესეთის ცხოვრებას და მიუდგომლად და ობიექტიურად ამოაღა იქიდან ყოველგვარი ნაკლულევენებანი როგორც ოჯახში, ისე ოჯახს გარეთ, როგორც მამაშვილურ დამოკიდებულებაში, ისე ცოლქმრულში, ძმურში და სხვ. მის პიესებში ყოველთვის გატარებულია რაიმე ზნეობრივი იდეა, მაგრამ ეს იდეა ავტორის თანტაზის ნაყოფი კი არ არის, არამედ ცხოვრების უტყუარ ფაქტებზე დამყარებული. მის პიესებში ხშირად სულიერი ძალა ამარცხებს მატერიალურს და ამით ოსტროვსკის პიესების მნიშვნელობა ორს დედაზრში მდგომარეობს: პირველი ის, თუ რამდენად დამდუბველია ცხოვრებაში დროს გადასულ შეხედულებათა ბრმათ დაცვა, მეორე ის, თუ რამდენად ძალა დგას ცხოვრებაში მატერიალურ ინტერესზე ზნეობრივი ინტერესი, რომელსაც უნდა ეტანებოდეს ყოველი ადამიანი. სალტიკოვი და ოსტროვსკი თუ ზნეობრივ ამოღებას ქადაგებდნ და უზნეობას დევნიდნ, ეს სრულებით არ ნიშნავს გზას ზნეობრივი ცხოვრებისაკენ. სიბერეში ამას კარგად გრძობდა სალტიკოვი; ოსტროვსკიმაც კი აღიარა ერთ თავის უკასასქნელ პიესაში („Не все коту масляница“), რომ მარტო ზნეობრივი ძალა სუსტ იარაღს წარმოადგენს ცხოვრების ასამაღლებლად. ამგვარად რეფორმების მიერ გამოწვეული იმედები თვით ცხოვრებამ სრულებით ვერ გაამართლა და აქედან დაიბადა უკმაყოფილება, რომელიც უმალ ხალხის წრიდან გამოსულმა ბელეტრისტებმა შემოიტანეს მწერლობაში. მესამეც დაათე წლებიდან ეს უკმაყოფილება მთელ საზოგადოებას მოედო; საზოგადოების საუკეთესო ნაწილი სულით დაეცა, მან იმედი დაჰკარგა უკეთესი მომავლისა; აწმყოში სანუგეშოს ვერას ხედავდა, მომავალს გულ გატეხილი უყურებდა. ამ დროის სულიერი მდგომარეობის ტიპური გამომხატველნი არიან გარშინი (1855—1888) და ნადსონი (1862—1887).

ორივე ეს მწერალი მეოთხმოცე წლების ინტელიგენციის ტიპური წარმომადგენლები არიან. გარშინი მთელი თავისი ბუნებით ჰამლეტის მზგავსი ადამიანია და ყველა ის პირნი, რომლებიც მას გამოჰყავს თავის მოთხრობებში, პატარა ჰამლეტები არიან. გარშინს აინტერესებს ადამიანის ფსიხოლოგია, მისი სულიერი მდგომარეობა, და მისი მოთხრობები საერთოდ საუცხოეო სურათს იძლევიან რუსეთის ინტელიგენციის სულიერი განწყო-

ბილებისას მეოთხმოცე წლებში. გარშინის მოთხრობების ყველა გმირები, მცირე გამოჩაქლს გარდა, მუდამ ყოყმანში არიან, მუდამ კრიტიკულად უყურებენ თავის თავს და ყოველივე იმას, რაც მათს გარშემო ხდება; ყოველგვარ მოვლენაში და ადამიანის მოქმედებაში ისინი ეძებენ აზრს; ცხოვრება საერთოდ მათ სრულებით ვერ აკმაყოფილებს, სიცოცხლე მათ არ იზიდავს, რადგანაც ვერსად ვერ ხედავენ ცხოვრების მიზანს, რომელსაც ამოთ ეძებენ. ის ფიქრები და გრძობანი, რომლებიც მოსვენებას არ აძლევენ გარშინის გმირებს, ნადსონის პოეზიაში ნაზ, უმანკო და სევდიან ლირიზმად იქცენ. საზოგადოებრივი ცხოვრება და ნადსონის კერძო ცხოვრება თითქოს განგებ მოეწყვენ ისე, რომ ამ ნიჭიერი ადამიანის პოეზიაში რაც შეიძლება მეტი მიმზიდველობა, მეტი წარმტაცი სევდა შეეტანათ. ცხოვრებაში ვერ ხედავს პოეტი ვერასფერს სანუგეშოს, თავისი ნორჩი არსების დღითი დღე დნობას თავისი თვლით უმზერის, მაგრამ მიუხედავად ამისა ნადსონს ღრმად რწამს, რომ კაცობრიობა უსათუოდ მოესწრება უკეთეს მომავალს, რომლის იმედიდაც ის იმხნეებს თავის თავს და ყველას, ვისაც კი აწმყოს ანალიზი სევდის მეტს არას აძლევს.

ამგვარად რუსეთის მთელი სიტყვაკაზმული მწერლობა XIX საუკუნის განმავლობაში შეუწყვეტელ სევდაზე აგებული, მაგრამ ამ სევდას სხვადასხვა დროს სხვადასხვა მიზეზი და სხვადასხვა ხასიათი ჰქონდა.

ი. გომაროული.

(შემდეგი იქნება).

სამშობლოს ცახე.

ბევრი, ძლიერ ბევრი საკვირველება ხდება ამ ჩვენს სამშობლოს არეულ ცახე. არამც თუ თვე და წელიწადი, დღეც კი ისე არ გავა, რომ კუდიანი ვარსკვლავი არ დავინახოთ. ხან ერთი გადმოგვეჭყიტება, ხან მეორე, ხან ერთი გვიქნევს მუქარის თათს, ხან მეორე. და ყველა ერთად კი მთვარის დაბნელებას გვიქადაიან! რა ვუყოთ, იქნებ თვითონვე შეიწვან კუდი მის სხივებით, მაგრამ ყველაზე საკვირველი კუდმომწვარ ვარსკვლავი კი იქიდან მოგვევლინა, საიდანაც სრულებით არ მოველოდით. ეს ვარსკვლავი საკვირველი იმით არის, რომ იგი ორივე თვალებით უსინათლოა. ის ვერც წინა ხედავს და ვერც უკან, არც შორს ანათებს და არც ახლო, მაგრამ მაინც არამც თუ ვარსკვლავობს, არამედ გულთმეცნიერობს. ნუ გგონია, მკითხველო, რომ ჩემი აზრის დასამტკიცებლად ცის კიდისაკენ გაგაქანო! დმერთმა გვიხსნას ეშმაკეულისაგან, მაგრამ მაინც აღიჭურვე დურბინდით და გადახედე „ცნობის ფურცლის“ 1547 №-ს. აქ მის ერთ-ერთ გვერდზე შეამჩნევ იმ ვარსკვლავს, რომელიც მოკლედ შემდეგს მოგვითხრობს: მე (ე. ი. „ცნობის ფურცელს“) ვილაცა რაღაცას მამბრალებს და ვილაცას სადღაც ჩემზე («ცნ. ფურცელზე») რაღაცა მოუჩმახიაო. ძალიან კარგი, ვთქვათ, ვილაცამ რაღაცა თქვა ვილაცა-რაღაცაზე, მაგრამ განა მკითხველი უეჭველად მოვალეა გაიგოს «ცნ. ფურცლის» გულსნადები ვილაც, სადღაც, რაღაც უსახელ-უსულ-უგვამ-უთავ-უბოლო აბდა-უბდა კარაბადინი?! მე გგონი „ცნობის ფურცელმა“ ეს კბილმჭკრილი (ტყემლისაგან) სტატია მხოლოდ თავისი გულის გასაგრი-



ლებლათ ჩაუმატა გაზეთს და გვიკვირს, რატომ სათაურათ შინაური გასართობი არ უწოლა!

\* \*

რადგანაც ცოცხლები მოძულეებით, ეს ერთი თვეა რაც მკვდრებზეა ლაპარაკი ჩვენ პრესაში. ერთნი ამტკიცებენ, რომ დეე ცოცხალმა მკვდარი რაერთიც უნდა იმდენი იტროს, ხოლო ნაზუქ-ქადებს კი ქელესში ნუ მიიროთმევენო; ხოლო მეორენი გაიძახიან: არა, უნდა ვიტროთ და მასთან ერთათ შესანდობარიც დიახ რომ უნდა შივსვათო. ვინაა ამაში მართალი, მკვდრები თუ ცოცხლები, ამისა რა მოგახსენოთ, ხოლო ამ ჟამათ რომ ერთ-ერთ ცოცხალს მკვდრებზე „სუდებნი ისკი“ შეუტანია, ამას მოგვეთხრობს „ცნობის ფურცლის“ კორესპონდენტი, ვინმე იოსებ მესხი. აი რას ამბობს ეს მკვდრების კრედიტორი: მამაჩემი ჩვენ მხარეში ერთ უპირველეს შეძლებულ პირათ ითვლებოდა, მაგრამ სიკვდილმა და ქელესტირილებმა ისე გამაღარიბა, რომ დღეს თვეში 30 მან. ვმსახურებო. და „რათ დავიბადე ასეთის უბედურის გრისაგან“, რომელიც მკვდრებისაგანაც კი ითმენს ძარცვა-ყვლეფასო! ახა, ღმერთო ჩემო, განა ქეიფებმა კი ცოტანი გააღარიბეს, მაგრამ აქ რა შუაშია ან სამშობლო, ან მესხის მეტროჩესკი. რაც შეეხება 30 მან., ეს ბევრს სანატრელიც აქვს ჩვენ ცოცხლების ქვეყანაშიაც; ხოლო ი. მესხმა კი იმით ინუგეშოს, რომ მას მკვდრები მაინც ოდესღაც მაძლარი ჰყოლია!

\* \*

ქიზიყელებმა ამ ბოლო დროს ერთი ქიზიყური ანდაზა შეთხზეს. მათ თქვეს: „როცა მოგვედი, მხოლოთ მაშინ მიტირესო“ და მართლაც, ვიდრე ქიზიყმა ბალიშზე თავი არ მიდვა, მანამდის არავის ვახსენებია, არც შინაურს და არც გარეულს. ხოლო დღეს კი ყველა მათზე ლაპარაკობს: „ჰარიქათ, ქიზიყს მივეშველოთ, ჰარიქათ, ქიზიყს წამალი დავადვათო და სხვა და სხვა. ერთი სიტყვით, რეცეპტები და დოსტაქრები ბევრი გამოჩნდნენ და ყველა ერთი მეორეზე შესანიშნავია, მაგრამ მათ შორის უფრო უშესანიშნავესია ერთი, რომელიც გვაწვდის რა ქიზიყის ავადმყოფობის ბიულეტენს, მასთან ერთათ „ივერიისავე“ ფელეტონში უებარ წამალსაც გვიწერავს ავადმყოფის მოსარჩენათ. ის ამბობს, რომ ქიზიყს დღევანდელ სიმშილობას თავიდან ააშორებენ ვინმე ვასილ და ალექსანდრე ნადიროვები და ტრიფონ ჯამასპოვიო. ეს სამნი იქაურმა ელიბომ ალბათ „სამების ძალზე დაასახელა“, მაგრამ სხვაც რომ არა ვთქვათ-რა, რატომ არ იცის პატივცემულმა ქადაგმა, რომ ძალით შეძენილს ნებით არავინ რას ვისმე აჩუქებს და დაუთმობს. მეორეც ესა, განა ქიზიყში სიმშილობა პურის სიძვირემ ჩამოაგდო? სრულებითაც არა. დღეს იქ ფქვილი ფუთი იყიდება 1 მ. 40 კ., ე. ი. ისევე, როგორც შარშან, როდესაც საუკეთესო მოსავალი მოუეიდათ ქიზიყელებს. არა, სიმშილობა პურის სიძვირის მიზეზი კი არ არის, არამედ იმისი, რომ იქაურ გლეხს არა გაჩნია რა, რომ ეს პური იყიდოს. ვისაც წელს არა აქვს, იმას შარშანაც არა ჰქონდა-რა, მაგრამ ეს არაფრის მქონე იქავე ქიზიყში თავისი მკლავით, თავისი ოფლით მიდიოდა იოლათ. იყო სამკალი, იყო სათოხი, იყო საბარი და სხვა და სხვა, და ისიც ლუკმა პურს სხვის კარზე მუშაობით იძენდა. შარშან ის დღეში სამუშაო ფასს იღებდა მანეთიდან შვიდ

აბაზამდე, ხოლო დღეს კი ორ აბაზათ და ექვს მუშაობს. დიახ, ბატონო, იკლო სამუშაო ფასმა და ვინაა ამან ჩამოაგდო ქიზიყში სიმშილობა და არა იმან, რომ პური ძვირათ იყიდება. ნუ დაგავიწყდებათ, რომ შარშანაც ამ ფასებში ყიდულობდნენ პურს. ეს შრომის შეილენი და დღესაც იქ აუარებელი პურია ჩამივე ფასებში, მაგრამ ისინი კი მაინც მშიერნი არიან. რაც შეეხება ზემოხსენებულ „რეცეპტებს“, ეს „რეცეპტები“ იქნება გარეთ ვინმე გულ-უბრყვილო მოყვარეს თუ გაახარებენ, თორემ შინაურებმა კი არა მგონია მწარეთ არ გაიციონ მის გავონებაზე.

რიგოლეტი.

შრომის მდგომარეობა ინგლისში.

(დასასრული. — იხ. № 23).

კომისსია, ე. ი. მისი უჩვეულებას, თავის ანგარიშში შეუერთდა ჯიფუფენის ოპტიმისტურ შესწავლებას. მისი აზრით უკანასკნელი 50 წლის განმავლობაში სამუშაო ქიჩამ შესამჩნევათ აიწია, სამუშაო დრო შემოკლდა და სასელოსნობების ჭიკაძეური პირობებიც გაუძვირებულა. გარდა ამისა, დიდი ნაწილი მუშებისა შემოსავალს ზოულობს ანა მარტო ქიჩაში, ანამედ შენახული ფულის სარგებელშიც. ბევრი მათგანი მესაკუთრეც არის; მათ აქვთ ჰატარა სახლები და მოძრავი ქონებაც. სამუშაო დღე შემოკლდა „ნასწავლი“ მუშებისთვის, რომელთაც ძლიერი ორგანიზაციები აქვთ და რომელთაც ეს შემოკლება მოაზრებს სანგრძლივის მდგარი ბრძოლით. რაც შეეხება, კერძო წოდებულ, უსწავლელ მუშებს, მათი მდგომარეობა ისეთივეა, როგორც წინეთ და თვით კომისსიამ აღიანა, რომ სამუშაო დღე მეტათ დიდია.

მაგრამ, ბოლოს, კომისსია იმით ინუგეშებს თავს, რომ ამ „უსწავლელ“ მუშათა რიცხვი, რომელთაც ვერ ისარგებლეს თანამედროვე კულტურის იარაღებით, ვერ მოაზრებს უკეთესი მდგომარეობა, და აგრეთვე იმათი რიცხვიც, რომელთაც დიდი ქალაქების მცხოვრებთა «ნამირალს» კეთუნანს, და რომლებიც მეტათ სამწუხარო მდგომარეობაში იმყოფებიან, თანდათან მცირდება.

სულ სხვა თვალთ უყურებს ამ საქმეს ზევით დასახელებული უმცირესობა, რომელმაც თავისი მხრით ცალკე ანგარიში შეადგინა. ესენი თვით მუშები არიან და მეტი უფლება ქონდათ, მუშათა სასელოთ კლასიზაციით. ესენი არ უარყოფენ 50 წლის განმავლობაში მომსდარ გაუძვირებულებს, მაგრამ ამბობენ, რომ კომისსიამ მეტათ სასიამოვნოთ და სანუკუშოთ დასატა მუშათა მდგომარეობა. მათი აზრით, მუშათა და მათ დაქირავებულთა შორის არსებული უთანხმოების მიზეზი არის მუშათა კლასისის არა სასურველი და შევიწროებული მდგომარეობა. მიუხედავად სჯერო სიმდიდრის ზრდისა, ხალხის დიდი ნაწილი, დასხლოებით 5 მილიონი, ვერ ასრებს მონაზრებს არსებობისათვის საშუალება... რაც აუცილებელია ჯანმრთელობისა და სიცოცხლისათვის. თვით ჯიფუფენსამევე აღაჩან, რომ მთელი მეოთხედი მოწიფულ მუშებისა კვირში ორ მანეთსაც ვი ვერ შოულობს, ე. ი. იმდენს, რაც აუცილებელი საჭიროა, რომ რამდენიმეთ გაუჭირვრებით იცხოვრო. ორ მილიონამდე აღამანი კი იმულებულია ისარგებლოს ამა თუ იმ სახით საზოგადო ქველმოქმედებით. თვით ლონდონში, ამ უმდიდრესს და უდიდესს ქალაქში, ერთი მესამედი (ბუტისის გამოკვლევით) მცხოვრებლებისა ვერ შოულობს კვირში ორ მანეთსაც, და ამასე უფრო მცირე შემოსავლით კი





შეუძლებელია ცნობა: და როცა ჩვენ ვტყუობილობთ, რომ ღონღონის ზოგიერთ ნაწილებში ნახევარს, სშირათ სამ მე-სოფელსაც, ეს მანამეძივ ანა აქვს, და ასეთი მდგომარეობა შედეგია ანა უეჭვანს, შემთხვევითი უბედურების, ანამედ ამ ოპოტვდა ათი წლის ზოგურკისისას, მშინ ამ მდგომარეობას საზოგადოებისა და მთავრობის გაორკვებული უურადლება უნდა მიექცეს.

ან იფიქროთ, რომ ასეთი უძველესი მდგომარეობა მარტო უსწავლელ და „დაცემულ“ მუშათს სვედრი იყოს. ამ დარბებშიაც კი, სანა შედარებით შრომის მეტი ფასი აქვს, ოფიციალური სტატისტიკის ცნობებით, ბერძი მუყათი მუშა. მუდამ უსაქმოთ ზის, ხოლო წარმოების შეჩერების ანუ კრიზისის დროს კი ამ მდგომარეობაში ათასობით გარდებიან. და ამ დროს, როცა მრავალი მუშა უსაქმოთ რჩება, დანახრებები იძულებულნი არიან გარდამეტებულ დროს იმუშაონ. თითქმის ყველა სელსაქმობის დარბში სამუშაო დღე იმდენათ გრძელდა, რომ საოჯახო და საზოგადო მოკალეობათა შესრულება შეუძლებელია. კარგაი გაწესრებულ სასელსონობშიაც, სანა ნასწავლი მუშები არიან და სამუშაო დღე ცნა და ნაკლები საათის, იქაც სისტემატიურათ აქვს ადგილი დადგენილი ნორმის რეგით მუშაობას. „მშინის მკეთებელთა შეერთებული საზოგადოების“ მასუნიდან ვტყუობილობთ, რომ დადგენილი ნორმის რეგით მუშაობა ამ განუათარბებულ წარმოებაშიც კი 9 საათამდე ადის კვირაში. კომისისის მიერ შეკრებილი ცნობებიდან ჩნს, რომ ბერძი ქიმიური ქარხნების, რკინის გზის, რკინის და ფოლადის ჩამომსხმელი მუშები, ნოქრები და მუშა-ქალები სშირათ თორმეტ საათს მუშაობენ დღეში და ზოგჯერ 15 საათსაც კი! რამდენიმე ათასი მუშა ისეთ ზირბებში მუშაობს, რომ მათთვის აუცილებელია ავთიმოფობა და უბედური შემთხვევები (დასახინრება). ანტიგვიერური ზირბებში ჯერ კიდევ ბერძი სასელსონობშია გამოყვებული, უფრო მეტათ კა ბინებში. ჭლერქი წინანდებურათ ნადგურებს ასოთ-ამოფობათ რიცხვს, მათ ჭკურ-დასმულ ბინებში. სხვა წარმოების გარდა ნარშირის გვირბებისა და ერთი ან ორი დარბისა, რომლებიც განსაკუთრებულ წესებს ექვემდებარებიან, არსად არ არის მიუბეული ზომის ავთიმოფობისა და უბედურ შემთხვევათა ასაცილებლათ. მერხირების თანამედროვე მდგომარეობა სრულიად არ თხოულაბს, რომ რკინის გზის მოსამსახურენი ჟარის კაცებზე უფრო საშიშარ მდგომარეობაში იყვენ, ან მეჭურჭლეთა და ქვან მთელთა შორის მეტი ზრანცნტი კვდობადეს ვიდრე სასელსონობა წოდებაში.

ასეთსაკვე არასასურველ მდგომარეობას წარმოგვადგენს მუშათა საცხოვრებელი ბინებიც. სარდაფებისა და «კუთხუბის», რომ გვერდი აგუაროთ, მანრ ნამდვილი სივრცე, რომელიც მუშათა ოჯახს უჭერია, საჭირბზე ბერძათ ნაკლებია. მარტო ინგლისში და უელსში 2 1/2 მილიონი ადამანი ასეთ ბინებში ცხოვრობს, რომელნიც სასელსონობა მოსელემ ნამეტან გაკისილი გამოცხსდა. სასალსო აღწერის და ბეტისის მიერ შეკრებილი ცნობებიდან ჩნს, რომ ინგლისის დიდ ქალაქებში მცხოვრებლების 1/3 ან 1/2 ერთი ოთახი უჭერიათ. მარტო ღონღონში 250.000 კაცი (მათ რიცხვში 100.000 ბავშვი) ასეთ ბინებში დგას, რომ ყოველგვარი საჭირბებისთვის მხოლოთ ერთი ოთახი აქვთ. ამ მსრაი კადევ უარეს მდგომარეობაში არიან ვლახეთ, ვილმენრკია და შოტლანდიის სხვა ქალაქები. ინგლისის ქალაქებიდან ღონღონზე უარესათ არის ეს საქმე მოწყობილი: გუტმადა, ნიუკასტლში, სენდერლენში, ჰლიმუტში და სხვ. ინგლისის ზოგიერთ ოლქებშიც ასეთ გარემოებებს

ვხვდებით. და ასეთი მდგომარეობა ანა მარტო ქალაქებში. კომისისის თანამშრომელთა ოფიციალურ ჩვენებათაც ვტყუობილობთ, რომ ასეთი საქმე სოფლებშიაც, იქაც კი, სანა სოფელთა რიცხვი კლებულობს. დასასრულ კომისისა აღნიშნავს იმ ფაქტს, რომ 70 წლამდე მიღწეულ ზირბებთან სამში ერთი უსათოთ საზოგადო დასმარებით სარგებლობს. 6 გარდაცვალებულში ერთი ან «სამეშაო სახლის» ან ღირბითა სავთიმოფობს მცხოვრება. ზოგიერთ სოფლის ოლქებშიც, თითქმის ყოველი მოხურებული მუშა იძულებულია საზოგადო დასმარებით ისარგებლოს. გარდა ამისა ინგლისში 4 ან 5-დან მიცვალებული ერთი უწყველათ საზოგადო ხარჯით იმარსება. და მუშათა კლასის ასეთი სამწყურსრო მდგომარეობა უნდა მიუწეროს იმ ფაქტს, რომ ერთი მეათხედი მცხოვრებლებისა ხარჯავს წლიური ნაწარმოების ორ მესამედს, და სარკია, რომელსაც საერო შრომა ინდის ყოველწლივ რენტით, დივიდენდით და რეკალეების სახით, 500 მილიონ გირგანქა სტერლინგს უდრის. ასეთ გონომიურ ზირბებში შეუძლებელია მუშათა და მუშატრენთა შორის კუთალი განწყობილების დაცვა. გაფიცვა და სსაკვარი წინანდმდეობა ინგლისში წარმოადგენენ თანამედროვე საზოგადოებრივ წესწყობილებით გამოწვეულ უკეთუფობების ნაშნებს, რომელნიც უმცირესობის აზრით დიდ იძულებს იძულებს.

უმიცირესობის სრულიად არ უნდა თქვას ვითომ ახლა უარესათ არის საქმე, ვიდრე წინეთ; ზირბით მას წამს, რომ უკანსახელი 60 წლის განმავლობაში მუშათა მდგომარეობა ბერძათ გაუმჯობესდა კანონების და რეფორმათა წყალობით; მაგრამ ეს მხოლოთ საქმის ერთი ნაწილია. მცხოვრებთა დიდი ნაწილი ახლაც ასეთ უნურეშო მდგომარეობაშია, რომელსაც უნდა შეებძოლონ როგორც საფაბრიკო ისე სამთო კანონმდებლობა. ამიტომ კომისისის უმიცირესობას მაინია, რომ დიდგა დრო, როცა საჭირბა მიღებულ იქმნას მთელი რიგი ზომებისა, რომელიც მიმართული იქნება საზოგადოთ მუშათა კლასისა მდგომარეობის გაუმჯობესობისაკენ; ნამეტურ კი იმათკენ ვინც ვერ ისარგებლა წინანდელი რეფორმებით. ასეთი ზოლიტიკა, რასაკვირველია, ბერძ დროს თხოულაბს. ერთბაშათ ამის შესრულება შეუძლებელია. ბერძი კარგის მოლოდინი შეგვიძლია დავამფაროთ ტრედ-უნიონების და სხვა თავისუფალ ამხანაგობათა განვითარება-გავრცელებას. მაგრამ უფრო შეგვიძლია მუშათა სვედრის გასაუმჯობესებლათ საჭირბა მთავრობის საქმეში გონიურათ ჩარევა. სასელსონობამ და ქალაქის მმართველობამ თვით უნდა მოვიდონ სელი მრეწველობის ზოგიერთ დარბებს. კარგო წარმოებაში კი, რომელიც ჯერ საზოგადოებას არ შეუძლია თავის სელში გადიტანოს, უნდა დწესდეს კონტროლი. უნდა მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება ხალხის განათლებას და იმ დწესებულებათ, რომელნიც ხელს უწყობენ ყველა საზოგადოებრივ კლასისთა ზნეობრივ და გონებრივ ამღლებას.

N-is.

ბ-ნ ზდნოვიჩის მომხრეებს.

საკვირველი კაცი ყოფილა ბ. ზდნოვიჩი. სწორეთ არ მეგონა, თუ ის ასეთი იქნებოდა. ოდესღაც, თუ ლიტერატორი დამალებოდა, თავის დასაცველათ სმს არ ამოიღებდა, ბ. ზდნოვიჩი თელიდა მას მსდალათ, დღეს კი ამავე ზნეს იგი თელის ოლიმპიური სისპეტავის ნიშნათ მხნობრივი მხრით. დიად, ბ. გ. ზდნოვიჩის დავწყება, რომ ლიტერატურული მედიდრობა სხვა არა არის-რე, გარდა უბრალო



მეტინარობისა და თავის თავის იმედის უქონლობისა...

დაიღ, ბ. ზდანოვიჩი! თქვენ თუ შეგონებით ვადეკ მცირეოდენი ნაწილი იმ ნაშუაწელისა, რომელიც ოდესღაც გამოქმედებდათ კეთილსინდისის, ამოღეთ სმს, გაიმართლეთ თავი. თქვენ გაჭირავთ სულში სასწე ჭიათურის საქმეების მართვისა და ვადეკულები საბო მისცეთ ზასუნის საზოგადოებას, რადგუნად გუკითხებან. თავში გიბრტყამენ ერთი მუორეზე უარესს ჩაქუნებს და სმას ვი არ იღებთ. რას მივაწერათ? რათ გრეზავთ საიდუმლოებით იყოს მოცულები თქვენი მოქმედება და საზოგადოთ ჭიათურის საქმეები?

და ის დედაცურვი ჭორები ვი, რომელიც თქვენ გაგიგონებდით ჩემ შესახებ ქუთაისის საზოგადოებაში, მე ვერ შემიძლება, ვიდრე მეჭორების წრეს არ გასცილდებოდან, და ამტკიცებენ ერთხელ ვადეკ ბრძნულ ნათქვამს: წყალ-წაღებული სახეს უკიდებოდაო. დაიღ, ბ. ზდანოვიჩი! თქვენ თვითონვე დაწვდით თქვენი ოლიმპიური მედიდურება მით, რომ მიჰმართეთ ჭორებს, რადგან ზასუნის გაცემა არ შეუძლებოთ. გვიან-ვან. მეტი აღარ დაგჩენიათ-რას, ისე ვაღმა უნდა იღოთ სულში. გაფრთხილებთ ვი...

ამ ქვეყანაზე გასაგვირავლი არა არის-რას. ერთი რამ ვი მივიჩნის, სასკლდობრ, ის, რათი მოაჯადოვას ასე ბ. ზდანოვიჩმა ქართული საზოგადოება \*), რომ იმ თავიდაცნვე დღემდის მის სახელს გაიძისან. აღბათ მით, რომ პირველი მისი წერილი ოდესღაც «იუკრამი» შესანიშნავ წერილათ მონათლას, და «იუკრამის» სახელისა შაშინ სომ ცოტა მნიშვნელობა ჰქონია. მართალი უნდა მოგასახნოთ ვი, რომ ვერც იმ წერილში და ვერც სხვა მის წერილებში შესანიშნავი ვერასოდეს ვერა აღმოგვიჩენია-რას.

ქუთათურებზე შედ-გაკლებს ვი ბ. ზდანოვიჩისა განსაცვიფრებელია.

ველანსად გავარე ისე, რომ საუკედურები არ მითხრან ჩემი წერილების გამო.

ვი ერთი მაგალითი, რომელსაც კისტავსებან სხვანიც. მივედი ერთ ვარც ჩემ მეგობართან, რომელთანაც ერთათ უიკუქი უნივერსიტეტის სკამზე. დამინახა თუ არა, საშინლათ გაფითრდა, მთელმა სხეულმა განვლი დაწყო, შემომხრდა ისე, თითქო რაღაც საშინელი ბოროტ-მოქმედება ჩამეღინოს; გაგვიწოდე სული, ძლიერ ჩამომართვა და იმ წამსვე საუკედურები მასადა პირში.

- რა ვაქნა, ჰა! არა გრცხვენია?!
- რა, ვაცო?
- რა დავიწერია ზდანოვიჩზე? რაც დავიწერია, სულ სიცრუე ყოფილა, სიცრუე, სიცრუე და სიცრუე!
- წავივითსე ჩემი წერილები?!
- არა, არ წამივითხავს.
- მას, ვინ გითხრას?
- თვით ზდანოვიჩმა მითხრა.
- მას ვერ წავივითსე და მას უკან დასდევნი მსჯავრი.
- ვერ უველაზე უმალ იმაში სარ დამნაშავე, რომ ზდანოვიჩის წინააღმდეგ გაილაშქრე.
- რატომ ზასუნს არ მიძღუეს?!
- იმიტომ, რომ ზასუნსა დაწესათაც ვი არ თვლის შენს წერილებს.

მეითხველი თვით მისკდება, როგორა უნდა იყოს გაონებრივა საღარო ჩემი ამხანაგისა, და იმასაც, რა ავვილათ შეიძლება ამასთანავე გაცის მოსიბღვა. მართლაც და სავიწრეღია მისი ღოდვიკის სისუსტე. თუ სიცრუეზე ზასუნის მცგება არ ღიწნ, მას მართალზე რაღა ზასუნს შეიძლება? O, sancta simplicitas! 1901 წელს 28 ივლისს.

ვასილ წერეთელი.

\*) აქ პეტროვი ცდება: ქართველი საზოგადოება ბ-ნ ზდანოვიჩს არც არასოდეს მოუფადოვებია და ვერც მოაფადოვებდა. ან შეიძლება მას რამდენიმე ქუთათური ყუბი ინტელიგენტი ქართველი საზოგადოება გონია? ყველასათვის აშკარაა, რომ ამ ორ ცნებას შორის დიდი მანძილია.

წერილი რედაქციის მიმართ.

ჩ-ნო რედაქტორ! ვახუთ «კვალის» მე-31 №-ში ამოვიკითხე წერილი რედაქციის მიმართ ჭიათურელი ვაჭრების, სასკლდობ: ს. თახუგაშვილის, გ. გუგუშვილის და ი. ნიორამის, ვითომც მე (გ. ნანულს) უსამართლოთ მესხნებოის და სიცრუე აღმჩინებოს ექიმი ს. ჯაფარიძის შესახებ «კვალის» მე-27 №-ში. სხვათა შორის ბ. ი. ნიორამე ამბობს: ვითომც ის უნდა წასუღიყოს ექიმის მოსაყვანათ და თემდალა მინავლა ექიმს, მაგრამ მაშინვე ადგა და წამოვიდაო და შემდეგაც ორჯერ ჩვენი მოწვევით და ერთხელაც ჩვენდა მოწვევით ინახულაო. ეს ყველაფერი ტყუილია, როგორც თვითმურას გურულის წერილიდან დინახავთ. აი ეს წერილიც.

«მამო გიორგი! მე წავიკითხე ამ წლის «კვალის» მე-31 ნომერი, რომელშიაც მოთავსებულია ჭიათურის მოკატკრების ს. თახუგაშვილის, ისიდორე ნიორამის და გ. გუგუშვილის წერილი თქვენ საწინააღმდეგოთ, რომელიც ექიმს ჯაფარიძეს შეესებოდა, მაგრამ, ჩემდა სამწუხაროთ, ის წერილი სიმართლეს არის მოკლებული: მე თითონ ბიძაშვილი ვარ განსვენებული მოკატკრის ურამან გურულისა, რომელსაც თავზე ვადეკი და მევე გუწავდი ჭირისუფლებას; მე თითონ ვაგვზავებე ექიმთან კონსტანტინე ქურციკიძე დილით, მაგრამ ექიმი არ წამოყლოდა, რადგანაც მინებოდა, მეორეთ ვადეკ შეადლისას ვაგვზავებთ იგივე გ. ქურციკიძე და არც მაშინ მობმანდა, მხოლოთ საღამოს ინახულა ავადმყოფი. მე მივიჩნის, საიდან შეთხვის მოკატკრებამ ასეთი ტყუილი წერილი, რომ ის ვაჭრები სრულებით არც ვი ვიცი ვადმყოფის მოკლასში. და რაც შეესება იმას, რომ ვითომ ექიმი ჯაფარიძე ჩვენ შეუტყობლათ მოსუდიყოს, ესეც ძალიან ტყუილია, ექიმი მაშინ არ მოკატკრას, როცა შევატყობინეთ და აბა საიდან მოვიდოდა შეუტყობინებლათ და უთხოვნილათ. ისიც ტყუილია ნიორამე ვაჭრის მხრით, რომ ვითომც ის თითონ ყოფილიყოს ექიმთან, მაგრამ ცხადათ არ ვაგვიგზავნია და სიზმარში შეიძლება ინახულა. თქვენი მამ თემურას გურული»...

ესლავ ვითხროთ ი. ნიორამის და მის ამხანაგებს, რა ძალა ადგათ ამხანაგი სიცრუე რომ შეთხვის? რატომ არ იცოდენ, რომ «შუბი ხალთაში არ დამიჯება»? მაგრამ არც განაკვირვალა მათი მხრით, რა ქნან, როცა ერთმა ექიმის „ზაცეხერტაჯანმა“ აღნიშნია მათ ძლავებურათ ის, რაც არც გულში ჰქონათ და არც უმოქმედნათ არსოდეს! მეითხველამა გააჩნის, ვინ არის მტყუანი და მართალი და დასდვას მსჯავრი ბ. ჯაფარიძის და მი'ი კლავრეტების მოქმედებას.

გ. ნანული.

რედაქტ.-გამომც. ან. თ.-წერეთლისა.

ზ ა ნ ც ხ ა ლ შ ი ბ ა ნ ი.

კალენის პროგიმნაზია

ელენე ბასტაძისა დ. ხონში

ამით აცხადებს, რომ მოსწავლეთა მიღება უმცროს და უფროს მოსამზადებელ, პირველ და მეორე პროგიმნაზიულ და აგრეთვე წელს გახსნილ მესამე პროგიმნაზიულ კლასებში დაიწყება 20 აგვისტოდან და გაგრძელდება მთელი წლის განმავლობაში. თხოვნები უნდა გამოგზავნილ იქმნენ პროგიმნაზიის უფროსის—**მლენე ბასტაძის** სახელობაზე. სწავლის საფასური როგორც მოსამზადებელ, ისე პროგიმნაზიულ კლასებში, 30 მანეთია წელიწადში. (4—1)

გამოვიდა და იყიდება **ლამხაბი და პომეხი** ი. კვლავისა, მეორე შევსებული გამოცემა ავტორის სურათით გ. წ—ს და ამხ. ფასი ათი **შაშრი**. ვინც ათ ცალზე მეტს გამოიწერს, წიგნი დაეთობა 25% დაკლებით. ადრესი: Редакция „Квали“, Г. Цулукидзе.